პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 85 (9553) | პარასკევი, 10 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ კავშირი მასებთან — «პრავდის» 9/IV მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სადღეისო თემაზე. — სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — იდეოლოგიური მუშაობის მაღალი დონე წარმატების საწინდარია (მე-2 გვერდი).
პ. ბაქრაძე. — ტყიბულის დღევანდელი და ხვალინდელი სახე (მე-2 გვერდი).
პირველი მაისის შესახვედრად (მე-2 გვერდი).
საბჭოთა კავშირ-ალბანეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის (მე-3 გვერდი).
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება (მე-3 გვერდი).
შენიშვნები ახალ წიგნებზე. — [illegible] მოთხრობა. ა. გაიდარის მოთხრობები ქართულად. წიგნი სუბტროპიკულ მეხილეობაზე (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას. — მივაწოდოთ მშენებლებს მაღალხარისხოვანი აგური და კრამიტი (მე-3 გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ კავშირი მასებთან

სასიცოცხლოდ, განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მშრომელთა ფართო მასებთან. ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში პარტია კიდევ უფრო შეუსისხლხორცდა ხალხს და განამტკიცა თავისი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან.

საბჭოთა ხალხი სრული ნდობით ეკიდება თავის მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და გამსჭვალულია მისდამი მხურვალე სიყვარულით, რადგან იცის, რომ პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონი ხალხის ინტერესებისადმი სამსახურია. კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ თავიანთ ნაცად ხელმძღვანელად, რომელიც მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ქვეყანას კომუნიზმის მშენებლობის გზით. ჩვენი ხალხი მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდა, რომ პარტიის პოლიტიკა უაღრესად სწორია, დარწმუნდა, რომ პარტიას არა აქვს სხვა მიზანი, გარდა მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლის დიადი მიზნისა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მიზანია მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, მთელი საბჭოთა საზოგადოების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება. ამ პოლიტიკით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები აძლიერებენ თავიანთ ღონისძიებებს პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად, სულ უფრო ფართოდ და სრულად იჩენენ თავიანთ შემოქმედებით უნარსა და ნიჭს.

ხალხის მასებთან განუყრელი კავშირი, გვასწავლიან ლენინი და სტალინი, ჩვენი პარტიის ძალისა და უძლეველობის წყაროა. პარტია თავისი ისტორიის ყველა ეტაპზე იმიტომ აღწევდა წარმატებებს, რომ იგი მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან, ეყრდნობა ხალხს მთელ თავის მოღვაწეობაში, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ახორციელებს რა მასებისადმი ხელმძღვანელობას, პარტია უსახავს მათ ბრძოლის ნათელ მიზნებს, უშუქებს გამარჯვების გზას, მტკიცედ უჭერს მხარს ყოველივე მოწინავეს, რაც წარმოიშობა მასების ცოცხალ პრაქტიკაში, მოწინავეთა დონემდე აჰყავს ჩამორჩენილნი. პარტია ასწავლის თავის ორგანიზაციებს მოთმინებით განმარტავდნენ პარტიის პოლიტიკას, რადგან ამ პოლიტიკის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული მილიონიანი მასების შეგნებულ მონაწილეობაზე მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მშრომელებისათვის პარტიის პოლიტიკის ყოველდღიური განმარტება, მათი დარაზმვა ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის, ზრუნვა მასების სოციალისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის პარტიული ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანაა. პარტიის XIX ყრილობაზე აღინიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აამაღლონ იდეოლოგიური მუშაობის დონე, გააძლიერონ მასების პოლიტიკური აღზრდა. ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით განავითარონ მასებში საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, აღვზარდოთ მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, სრულვყოთ საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებები — ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენა, იმისათვის მზადყოფნა და იმის უნარი, რომ დაძლიონ ყოველი სიძნელე.

ხალხთან განუყრელი კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა — ყური ვუგდებდეთ მასების ხმას, გვესმოდეს და დროზე ვეხმაურებოდეთ მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს — გულისხმობს იმას, რომ ყოველდღიურად ვამაღლებდეთ პარტიული ხელმძღვანელობის დონეს, მაქსიმალურად ვუახლოვებდეთ პარტიული ორგანოების მოღვაწეობას მასების ცოცხალ შემოქმედებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ადგილობრივ პარტიულ ორგანოს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი მუშაობის არასწორი მეთოდებისათვის. პარტიულ ორგანიზაციებთან, მშრომელთა მასებთან ცოცხალ კავშირს, ცოცხალ შემოქმედებით ხელმძღვანელობას ისინი ხშირად ცვლიან მრავალი და უნაყოფო სხდომითა და თათბირით, დირექტივების ნიაღვრით, ადმინისტრირებით.

ქალაქ ზაპოროჟიეს პარტიული აქტივის ამას წინათ გამართულ კრებაზე ლაპარაკობდნენ საწარმოების პარტიული ორგანიზაციებისადმი პარტიის საქალაქო კომიტეტის სუსტ ხელმძღვანელობაზე. კრების მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი უნარიანად ვერ ახამებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო მუშაობასთან, მიმართავს ხელმძღვანელობის კანცელარიულ მეთოდებს, გამოაქვს ბევრი გადაწყვეტილება, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს მათი შესრულებისათვის. პარტიის ზაპოროჟიეს საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელები მოწყვეტილი არიან საწარმოთა ცხოვრებას, რაც ხელს უშლის მათ დროზე შეიტყონ, რა მდგომარეობაა ადგილებზე, დროზე გამოავლინონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, გამოძებნონ და გამოიყენონ წარმოების შინარეზერვები, ფართოდ გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება.

პარტიული მუშაობა ადამიანებთან მუშაობაა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიული მუშაკები რეგულარულად აკეთებდნენ პოლიტიკურ მოხსენებებს მოსახლეობის წინაშე, პირადად ჰქონდეთ ურთიერთობა მასებთან და ყოველდღიურად სწავლობდნენ მათ წინადადებებსა და მოთხოვნებს. პარტიულ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებთან ცოცხალი კავშირი, რაიონული კომიტეტების პლენუმების, პარტიული აქტივის კრებებისა და მშრომელთა კრებების მუშაობაში მონაწილეობა პარტიული ხელმძღვანელის მოვალეობაა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ყველა პარტიული ხელმძღვანელი როდი ასრულებს ამ მოვალეობას და როდი იბრძვის მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის დონის ამაღლებისათვის. სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებენ პოლიტიკურ მუშაობას ნოვგოროდის ოლქში. აქ ბევრ კოლმეურნეობაში იშვიათად იწვევენ კოლმეურნეთა საერთო კრებებს, პოლიტიკურ აგიტაციას ეწევიან კამპანიურად, ნაკლებად კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს. საოლქო კომიტეტის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკს ადგილებზე გამგზავრების დროს თავის მოვალეობად არ მიაჩნია გააკეთოს მოსახლეობის წინაშე მოხსენებანი პოლიტიკურ თემებზე, ისინი არ სწავლობენ პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობას, არ უზრუნველყოფენ თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლას. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონე ნოვგოროდის ოლქის ცალკეული რაიონების სამეურნეო ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

იყო მასების მეთაური, სწორად ხელმძღვანელობდე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას — ეს იმას ნიშნავს, რომ ავითარებდე საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, აღვიძებდე მათს შემოქმედებითს ძალებს, ქმნიდე იმის პირობებს, რომ ყოველ მშრომელს შეეძლოს უფრო სრულად მოახმაროს თავისი გამოცდილება და ცოდნა კომუნისტური მშენებლობის საქმეს. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გაბედულად გაუკაფონ გზა ყოველივე ახალს, მოწინავეს, მზრუნველობით დაუჭირონ მხარი ძვირფას ინიციატივას, ძვირფას წინადადებებს, გაბედულად იბრძოლონ ყოველივე ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ, რაც კი აფერხებს ჩვენს წინსვლას. მუშაობაში ნაკლოვანებების, უძრაობის, რუტინის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცადი საშუალებაა თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა. იგი განამტკიცებს პარტიას, აფართოებს და აძლიერებს მის კავშირს მასებთან, ავითარებს მშრომელთა აქტივობას. ქვემოდან კრიტიკით გამოხატულებას პოულობს მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება, მათი ზრუნვა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის რაც უფრო ფართოდ გაიშლება თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, მით უფრო სრულად გამოვლინდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და ენერგია, მით უფრო ძლიერ გაიზრდება და განმტკიცდება მასების გრძნობა, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან.

პარტია ჩვენს კადრებს ასწავლის ყოველი ღონით განამტკიცონ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციები, ყოველდღიურად წარმართონ მათი საქმიანობა და მათი დახმარებით განავითარონ მასების შემოქმედებითი აქტივობა. საბჭოები, პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაცია და სხვა მასობრივი ორგანიზაციები ის ამძრავი ღვედებია, რომლებიც პარტიასა და მასებს აერთებენ. სწორად არ იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც დღემდე არ დაუღწევიათ თავი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების შეცვლისა და გაუპიროვნების პრაქტიკისათვის, მათდამი წვრილმანი მეურვეობისათვის. საჭიროა, რომ ყველა ჩვენმა ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელმა შეითვისოს მუშაობის სწორი მეთოდები, სისტემატურად ეხმარებოდეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს და ხელმძღვანელობდეს მეურნეობას არა ამ ორგანიზაციების გვერდის ავლით, არამედ მათი მეშვეობით.

საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება ყოველდღე იძლევა მშრომელთა ფართო მასების აქტივობის შესანიშნავ ნიმუშებს. ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება მასების მზარდი აქტივობისა, მათი მხურვალე სურვილისა — ხელი შეუწყონ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და მიაღწიონ მუშაობის გაუმჯობესებას — ის წერილებია, რომლებსაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები იღებენ მუშებისაგან, კოლმეურნეებისაგან, ინტელიგენციისაგან. მარტო დახავსებულ ბიუროკრატს შეუძლია უსულგულოდ მოეპყროს მშრომელთა წერილებს და ეს წერილები მხოლოდ აბეზარ მთხოვნელთა საჩივრებად მიიჩნიოს. პარტიული ორგანიზაციების დამოკიდებულება მშრომელთა წერილებისადმი იმის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია, თუ როგორ ზრუნავს იგი მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, რამდენად არის იგი მზად ყური დაუგდოს მშრომელთა ხმას და გამოეხმაუროს მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ მშრომელთა წერილების შინაარსს და იბრძოლონ იმისათვის, რომ ყველა დაწესებულებამ დროზე იღებდეს ღონისძიებებს ქვემოდან მიღებული სიგნალების მიხედვით.

იბრძვიან რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავენ თავიანთ გარშემო ყველა მშრომელს, ყურადღებით სწავლობენ მასების მდიდარ გამოცდილებას, მასებისა, რომლებიც პარტიამ დარაზმა შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის. საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდა, მათი ტალანტისა და ნიჭის გაფურჩქვნა კომუნისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

„პრავდის" 9/IV მოწინავე

ჩვენს დიად სამშობლოში

კონსერვის წარმოების ავტომატიზაცია

სემიპალატინსკი, 8 აპრილი. (საკდესი). ყაზახეთში უდიდესმა — სემიპალატინსკის კალინინის სახელობის ხორც-კონსერვის კომბინატმა ხუთწლედის დამლევს უნდა გამოუშვას 92 პროცენტით მეტი ხორცი და ერთიორად მეტი კონსერვი, ვიდრე 1950 წელს.

კომბინატი უახლესი ტექნიკით აღიჭურვება. მწყობრში ჩადგა ხინკალსაკეთებელი ავტომატი, ავტომატიზებულია კონსერვის ქილების ხაზი. უმჯობესდება მაცივრის მეურნეობა: გადადგმულია დაბალი გაცივების კომპრესორი, შეიცვალა ხორცის გაყინვის მეთოდი.

გამოიყენა რა უახლესი ტექნიკა, კომბინატის კოლექტივმა საპირველმაისო სტახანოვური ვახტის დღეებში გააძლიერა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ათობით ბრიგადა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას ამზადებს.

ვოლხოველ მეტალურგებთან

ვოლხოვი, (ლენინგრადის ოლქი) ვოლხოვის ს. მ. კიროვის სახელობის ალუმინის ქარხანაში საპირველმაისო შეჯიბრებაში პირველობას ინარჩუნებს ელექტროლიზური საამქროს კოლექტივი. ალუმინის დნობას აქ უახლესი ტექნოლოგიით ეწევიან. ერთ-ერთი არსებითი სიახლე, რაც შესაძლებლობას იძლევა შემცირებულ იქნას საწარმოო ხარჯები, არის დენის ძალის ავტომატური რეგულირების შემოღება. მარტო საპირველმაისო ვახტის დღეებში ამის შედეგად დაზოგილია 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ქარხანაში დანერგილია ალუმინის ზოდების განუწყვეტელი ჩამოსხმა. ამის მეოხებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. აპრილის 7 დღეში იმ მუშების რაოდენობა რომლებიც ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ, 25 პროცენტით გადიდდა.

(საკდესი).

ჩინური ჩაის გაშენება

ადლერი, (კრასნოდარის მხარე) 8 აპრილი. (საკდესი). წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჩაის რგვა ტრესტ „კრასნოდარჩაის" საბჭოთა მეურნეობებში. ამჟამად საბჭოთა მეურნეობებში ითესება ახალი საწარმოო ფართობები და სათესლე პლანტაციები. მეტწილ საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში პირველად ითესება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მიღებული ჩაის თესლი.

პლანტაციების დასამუშავებლად თითქმის მთელი შრომა მექანიზებულია. თითეული საბჭოთა მეურნეობა უხვად აღჭურვილია ტექნიკით.

ამ სეზონში ამუშავდება ადლერის ახალი ჩაის ფაბრიკა, სადაც მწვანე ჩაის ფოთლის გადამუშავების პროცესები სავსებით მექანიზებულია. მისი სიმძლავრე ერთიორად სჭარბობს დაგომისის ფაბრიკის სიმძლავრეს.

ეთეროვანთა პლანტაციების გაფართოება

პანფილოვსკოე, (ფრუნზეს ოლქი) 8 აპრილი. (საკდესი). გამოცოცხლდა ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციები ყირგიზეთის ალატაუს კალთებზე. დაიწყო მუსკატის სალბის თესვა, რომელიც წელს გაზაფხულზე 600 ჰექტარ ფართობს დაიკავებს. მთავრდება რეჰანის ჩითილის გამოსაყვანი სათბურების აშენება. რეჰანის კულტურა ამ ცოტა ხნის წინათ დაინერგა ყირგიზეთში. მექანიზატორები ნიადაგს ამზადებენ ავგონის დასათესად. ამ იშვიათი კულტურის ნათესი ფართობი ერთისამად გადიდდება.

სულ ეთეროვანთა პლანტაციები ყირგიზეთში წელს 15-20 პროცენტით გადიდდება.

დიდი იტალიელი მხატვრის რაფაელის დაბადების 470 წლისთავი

ლენინგრადი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზებში გაიხსნა დიდი იტალიელი მხატვრის რაფაელის დაბადების 470 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ექსპონირებულია რეპროდუქციები გენიალური მხატვრის ნაწარმოებებისა, მათ შორის სურათების „სიქსტის მადონა", „გალათეას ტრიუმფი" და სხვ. სპეციალური სტენდი უკავია ლიტერატურას რაფაელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის გამოფენის ერთ-ერთი დარბაზი ატარებს რაფაელის სახელს. დარბაზის კედლებს ამშვენებს პირები რაფაელის ფრესკებისა „ათენის სკოლა", „პარნასი", „პეტრე მოციქულის სასწაულებრივი განთავისუფლება საპყრობილედან". ეს პირები შესრულებულია გასული საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩენილი რუსი მხატვრების კ. ბრიულოვის, თ. ბრუნის, პ. ბასინისა და სხვების მიერ.

ყაზანის ნავსადგურის მშენებლობაზე

ყაზანი, 7 აპრილი. (საკდესი). ყაზანში დაიწყო ძირითადი სამუშაოები ახალი მექანიზებული ნავსადგურის მშენებლობაზე. მეურნალე მემანქანეების — ამხანაგების ბოგდანოვის, გრომადსკისა და ზუბოვის ცვლები შეუდგნენ სატვირთო მისადგომების ხაზზე ლითონის შპუნდების ჩასობას.

წელს მექანიზატორებმა უნდა ჩაასონ 4 ათასი ტონა შპუნდი, რითაც მისადგომი კედელი, იქმნება.

მეექსკავატორეები და თვითმცლელთა მძღოლები განაგრძობენ გრუნტის ამოღებას.

სადღეისო თემაზე

სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური და განუხრელი გაუმჯობესება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ამიტომ არის, რომ მეხუთე სტალინურ ხუთწლედში გათვალისწინებულია მკვეთრად გაუმჯობესდეს ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაფართოვდეს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, სახლების თბოფიკაცია და გაზიფიკაცია, საქალაქო ტრანსპორტი და ა. შ.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქების სანიტარული კულტურის ამაღლებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სანიტარული კულტურის ამაღლებაზე ბევრად არის დამოკიდებული მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი გაუმჯობესება.

ამ უკანასკნელ ხანს თბილისის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და მილიციის ორგანოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა თბილისში სანიტარული კულტურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. დედაქალაქის მრავალი ქუჩა, მოედანი, ეზო და უბანი სანიმუშო გახდა სანიტარული კულტურისა და საზოგადოებრივი წესრიგის მხრივ. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და პროსპექტებზე მოძრაობის უშიშროების წესების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სისუფთავის დაცვისათვის ყოველდღე მუშაობს კომკავშირელთა და პიონერთა 30 ბრიგადა. ბევრი მეეზოვე პატიოსნად და წესიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ქ. თბილისში წესრიგის დამყარებისა და სისუფთავის დაცვის დარგში თავიანთი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულ იქნა 10 მილიციელი და 40 მეეზოვე.

მაგრამ დედაქალაქში სანიმუშო სანიტარული კულტურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ფაქტები მოწმობენ, რომ ამ მხრივ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება სისუფთავის დაცვის საქმეს. ამის გამო დაჯარიმებულ იქნენ რესტორან „ისანის" დირექტორი კ. მახარაძე, კულტურისა და აღზრდის სახლის დირექტორი გ. კირთაძე, თბილკვებვაჭრობის მარცხენა ნაპირის სამმართველოს საწყობის გამგე გ. გოლიაძე.

არის ფაქტები, როცა მილიციის ორგანოების ზოგიერთი მუშაკი წესრიგისა და სისუფთავის დაცვის საქმეს სასხვათაშორისოდ თვლის. სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ირღვევა წესრიგი, არის უსუფთაობა, ხოლო მილიციის მე-5 განყოფილების უფროსი ი. მოდებაძე ამ ფაქტს გვერდს უვლის, საჭირო ზომებს არ იღებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

სანიტარული კულტურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები შემჩნეულია ბრძოლის ქუჩაზე და ამ ქუჩის მთელ რიგ ეზოებში, დედაქალაქის ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში, პურის საცხობებში, პურისა და სასურსათო პროდუქტების გასასყიდ მაღაზიებში.

ამოცანა ის არის, რომ ყველა უბანში, ქუჩაზე, სახლში სანიმუშოდ დავაყენოთ სანიტარული კულტურის საქმე, დავამყაროთ სრული სისუფთავე და წესრიგი. საჭიროა მთელი საზოგადოებრიობა, თითეული თბილისელი აქტიურად ჩავაბათ სანიტარული კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში, მკვეთრად გავაძლიეროთ მეეზოვის როლი და მას სათანადო პირობები შევუქმნათ მუშაობისათვის.

აუცილებელია გაძლიერდეს კულტურულ-მასობრივი მუშაობა კომუნალური მეურნეობის მუშაკთა შორის. სისტემატურად უნდა ეწყობოდეს ლექციები, საუბრები სანიტარული კულტურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე. ამ საქმისათვის გამოყენებულ უნდა იქნას რადიო, პრესა, კინო და სხვ. სანიტარული კულტურისათვის ბრძოლაში ფართოდ უნდა ჩავაბათ მოსწავლე ახალგაზრდობა, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები.

დედაქალაქის პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ისე უნდა იმუშაონ, რომ თბილისი უახლოეს მომავალში სანიტარული კულტურისა და წესრიგის მხრივ სანიმუშო ქალაქი გახდეს.

საქართველო — კომუნიზმის დიად მშენებლობებს

მანქანა-დანადგარები ქუთაისის ოლქის საწარმოებიდან

ქუთაისი. („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). ქუთაისის მარკის ასობით თვითსაცლელი ავტომობილი მუშაობს კომუნიზმის დიად მშენებლობებზე.

ქარხნის მთავარი კონვეიერიდან სისტემატურად ჩამოდის ახალი თვითსაცლელი ავტომანქანები. განუწყვეტლივ მოძრაობს მთავარი კონვეიერი. მას თავს დასტრიალებენ ახალგაზრდა სპეციალისტები, ავტომობილის ამწყობები, რომლებიც ოსტატურად დაუფლებიან ამ საქმეს და შეუნელებელი ტემპით იბრძვიან ახალ და ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. შარშან კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივებს ქუთაისელმა მეავტომობილეებმა 200 თვითსაცლელი გაუგზავნეს, წელს პირველ კვარტალში კი — 40 ცალი.

გარდა საავტომობილო ქარხნისა, კომუნიზმის მშენებლობათათვის დაკვეთების შესრულებაზე მუშაობს ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივიც. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაიწყეს მანქანათმშენებლებმა ვოლგადონელი მშენებლებისათვის არტეზიული წყალსატუმბავი დანადგარების დამზადება. ამ საქმეში თავი ისახელეს ინჟინერმა გ. ქუთათელაძემ, კონსტრუქტორმა ნ. კვიცარიძემ და ზეინკალმა ვ. ხელიძემ, რომლებმაც შეძლეს დაკვეთის სანიმუშოდ შესრულება, წყალსატუმბავის კონსტრუქციული გაუმჯობესება.

1952 წელს ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა მარტო კუიბიშევჰესის მშენებლებს 150 წყალსატუმბავი დანადგარი გაუგზავნეს, ხოლო წელს კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა დაკვეთა 2 თვეში შეასრულეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს 50 წყალსატუმბავი.

ქუთაისის დანარჩენ საწარმოთაგან კომუნიზმის მშენებლებს თავისი პროდუქციის მიწოდებით ეხმარება ლითოპონის ქარხნის კოლექტივიც. ამას წინათ ამ ქარხნიდან კომუნიზმის დიად მშენებლობათა მისამართით გაგზავნეს 77 ტონა მათეთრა და 16 ტონა ფერადი საღებავი.

ფოთის მანქანათმშენებლობის ქარხანაში დამზადებული მიწის მწოვი დანადგარები ცნობილია კომუნიზმის თითქმის ყველა დიად მშენებლობაზე. გასულ წელს 13 მიწისმწოვი დანადგარი გაგზავნეს სხვადასხვა მშენებლობაზე.

სისტემატურად მიდის ქუთაისის ოლქიდან მოწყობილობა-დანადგარებით დატვირთული ეშელონები კომუნიზმის დიად მშენებლობათა მისამართით.

ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების მექანიზებული გასხვლა, რისთვისაც გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქციის პირველი სასხლავი თვითმავალი მანქანები. თითეულ ასეთ მანქანას დღეში შეუძლია შეცვალოს 20-30 კაცი. ს უ რ ა თ ზ ე: წინა პლანზე მანქანა „ჩსმ-12" და მანქანა „ჩუგ-1,6". ჩაის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი ამხ. მ. კონცელიძე (მარცხნივ) და მექანიკოსი ამხ. ს. კეჭეყმაძე ამოწმებენ მანქანების მუშაობას პლანტაციაში.

ფოტო ი. ილიაძისა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მე-7 გამოცემა უნგრულ ენაზე

ბუდაპეშტი. (საკდესი). გამომცემლობა „სიკრამ" უნგრულ ენაზე გამოუშვა ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ისტორიული შრომის „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მე-7 გამოცემა. წიგნის ტირაჟია 50 ათასი ცალი. უნგრულ ენაზე ამ შრომის ყველა გამოცემის საერთო ტირაჟი უკვე 710 ათას ცალს შეადგენს.

პარტიული ცხოვრება

იდეოლოგიური მუშაობის მაღალი დონე წარმატების საწინდარია

საქართველოს სსრ კიროვის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი სპეციალისტი აღუზარდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობას. დიდი უმრავლესობა ინსტიტუტდამთავრებული სპეციალისტებისა — სამთო ინჟინრები, ინჟინერ-გეოლოგები, მეტალურგები, ქიმიკოსები, არქიტექტორები და სხვები წარმატებით არმევენ თავს მათთვის დაკისრებულ მოვალეობას.

მაგრამ ინსტიტუტის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ბევრი სერიოზული ნაკლოვანებანი. ინსტიტუტის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობდა ტექნიკური ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდის, მისი სრულყოფილად დაოსტატების საქმეს. განსაკუთრებით სუსტი იყო მეცნიერ მუშაკთა და ცალკეული კათედრების კავშირი წარმოებასთან, წარმოების მუშაკებთან.

აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეული იყო იმით, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა თავის მუშაობაში არ ეყრდნობოდა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივს, ქმნიდა არაჯანსაღ დამოკიდებულებას თანამშრომელთა შორის, გზას უხშობდა პრინციპულ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, რაც აქვეითებდა ხელმძღვანელობის დონეს. ყოველივე ამან გამოიწვია ინსტიტუტის ცალკეული კათედრების მუშაობის ჩაშლა, წლითიწლობით უარესდებოდა სტუდენტთა აკადემიური წარმატება, სუსტად იყო გაშლილი ბრძოლა ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

კიდევ უფრო სერიოზული ნაკლოვანებები იყო ახალგაზრდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შესრულების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 29 ახალგაზრდამ დაამთავრა ასპირანტურა, რომელთაგან დღემდე მხოლოდ ექვსმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, დოცენტები, პროფესორები ხშირად აქვეყნებდნენ თავიანთ ნაშრომებს როგორც ინსტიტუტის „შრომებში", ისე ცალკე წიგნებად. მაგრამ იმის გამო, რომ სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე არ ხდებოდა შრომების წინასწარი განხილვა, მათში დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები, ზოგჯერ შრომის განხილვა წარმოებდა ფორმალურად, რის გამო შეუმჩნეველი რჩებოდა ავტორების მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები. ინსტიტუტის დირექციამ ფართოდ გაუღო კარი პროფესორ ბ. კანდელაკის ანტიმარქსისტულ, ცრუმეცნიერულ შეხედულებებს. პროფესორმა ბ. კანდელაკმა თავისი ცრუმეცნიერული, სქოლასტიკური „ნაწარმოები" ინსტიტუტის „შრომებში" გამოაქვეყნა და ამით ზიანი მიაყენა ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს საზოგადოებათმეცნიერების კათედრების მუშაობას. მათ არა აქვთ შემოქმედებითი კავშირი ტექნიკურ მეცნიერებათა კათედრებთან, არ ზრუნავენ ტექნიკური ინტელიგენციის იდეოლოგიური გამოწრთობისათვის.

ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია ჯანსაღი, სწავლისა და შრომის მოყვარული ორგანიზაციაა. მაგრამ იმის გამო, რომ პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ ეხმარებოდა და კონკრეტულად არ ხელმძღვანელობდა მას, ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სუსტად იყო დაყენებული. სტუდენტთა ერთი ნაწილი, ზოგი კომკავშირელიც კი, ჩამორჩებოდა სწავლაში, სჩადიოდა საბჭოთა ახალგაზრდისათვის შეუფერებელ საქციელს.

ყველა ეს ნაკლი გამოწვეულია იმით, რომ სუსტად იყო დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავდა მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა პოლიტიკური განათლებისათვის. არ ეწყობოდა ლექციები, საუბრები, მივიწყებული იყო სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, როგორც კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქმიანობის საკითხი და, გამოაშკარავა რა მისი მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი, სამუშაოდან მოხსნა ინსტიტუტის დირექტორი გ. ქომეთიანი, დირექტორის მოადგილე ა. გულისაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ღვინიაშვილი. სამეცნიერო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება განხილულ იქნა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რომელმაც კომუნისტთა აქტივობის ნიშნით ჩაიარა. უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გაძლიერდა ბრძოლა ინსტიტუტში წესრიგის დამყარებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის. დისციპლინის დამრღვევ სტუდენტთა მიმართ არა მარტო ადმინისტრაციულ ზომებს ვიყენებთ, არამედ იმისათვის ვიბრძვით, რომ საზოგადოებრივი აზრი ავამხედროთ წესრიგის დამრღვევ სტუდენტთა წინააღმდეგ. ახლა დისციპლინის განმტკიცების საკითხებს სისტემატურად განიხილავენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები და ისინი სათანადო ღონისძიებებს ახორციელებენ. სტუდენტობის პოლიტიკური აღზრდის საკითხებს უფრო ფართოდ აშუქებენ ინსტიტუტის კედლის გაზეთები. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სიმძიმის ცენტრი ძირითადად გადატანილია აკადემიურ ჯგუფებსა და კათედრებზე.

უკეთ ვაწყობთ მუშაობას ახალგაზრდა კომუნისტებთან, პარტიის წევრობის კანდიდატებთან. მეტი ყურადღება ექცევა ტექნიკური ინტელიგენციის პოლიტიკური მომზადების საქმეს. ამ მიზნით პარტიული კომიტეტი სისტემატურად აწყობს ლექციებს, მოხსენებებს.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და უკვდავი სტალინის კლასიკურ ნაწარმოებს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". მეცნიერთა საუკეთესო ძალების მონაწილეობით ეწყობა თეორიული კონფერენციები, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომისადმი. ახლა ყველა ღონისძიება ხორციელდება იმისათვის, რომ ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გარდაიქმნას პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მკვეთრად გაუმჯობესდეს მეცნიერ მუშაკთა კავშირი წარმოებასთან. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ უკვე შეადგინა პერსპექტიული გეგმა ქართულ ენაზე ტექნიკური სახელმძღვანელოს გამოსაცემად.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უნდა განხორციელდეს საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. ჩვენს წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დგას. ინსტიტუტის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ისე უნდა მოაწყონ თავიანთი საქმიანობა, რომ მიაღწიონ მთელი მუშაობის უსწრაფესად გარდაქმნას, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს აღუზარდონ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით შეიარაღებული, ტექნიკურ სპეციალობას სრულყოფილად დაუფლებული ახალგაზრდა კადრები.

ა. კოტარია,
საქართველოს სსრ კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.



თბილისი. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა. მოწინავე სტახანოველი ამწყობი ზეინკალი, ბრიგადირი ვ. ლატარია მუშაობს დროს. ამხ. ლატარია ჩაბმულია საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველდღიურად ორ-ორ ნორმას ასრულებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

პირველი მაისის შესახვედრად

აძლიერებენ მუშაობის ჯემპს

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა მარტში საერთო პროდუქციის გამოშვებისა და სახაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. სახაქონლო პროდუქციის გამოშვების კვარტალური დავალებაც გადაჭარბებით არის განაღდებული.

თავი ისახელეს ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ერთი ორთქლმავალი. კარგი მაჩვენებლები აქვს სამგზავრო-საბაგონო საამქროს, რომელმაც მარტში გეგმის გადამეტებით 2 სამგზავრო ვაგონი მისცა სამშობლოს.

გამართულად მუშაობს და ქარხნის საერთო წარმატებას დიდად უწყობს ხელს საქვაბე საამქროს კოლექტივი. მექვაბეებმა მარტში ნაცვლად 16 საორთქლმავლე ქვაბისა, შეაკეთეს და გამოუშვეს 18 ქვაბი. მექვაბეთა ბრიგადებმა, რომლებსაც ა. სოხაძე, მ. აბუაშვილი და ვ. პილიპჩუკი ხელმძღვანელობენ, თვიური დავალება 200-270 პროცენტით გაანაღდეს.

საქვაბე საამქროს კოლექტივის ინიციატივით ქარხანაში გაჩაღდა ორი თარიღის — პირველი მაისისა და ქარხნის 70 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ამ ორი თარიღისათვის საამქროს კოლექტივმა იკისრა აპრილში გეგმის გადამეტებით შეაკეთოს ერთი საორთქლმავლე ქვაბი, საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულოს 103 პროცენტით, ამასთან საგრძნობი რაოდენობით მოაგროვოს და ჩააბაროს უფრადი და შავი ლითონის ჯართი.

უკვე ორი თვეა, რაც მექანიკური საამქროს კოლექტივი ინარჩუნებს საქარხნო სამმართველოს გარდამავალ წითელ დროშას. მორიგი წარმატებით აღნიშნა ამ საამქროს კოლექტივმა კვარტალის ბოლო თვე — მარტი, როდესაც თვიური გეგმა 111 პროცენტით გაანაღდა. მექანიკური საამქროს ამ წარმატებას ხელი შეუწყო ლითონის ძალოსნური ჭრის მასობრივად დანერგვამ, რომლის ინიციატორად გამოვიდა სახელმოხვეჭილი ხარატი ი. ჭუმბურიძე. მან საამქროს უფროს გ. სიმონიანთან ერთად შეიმუშავა და დაამზადა ლითონის ძალოსნური დამუშავებისათვის საჭირო ასამდე სამარჯვი და დაეხმარა საამქროს სხვა ხარატებს ძალოსნური ჭრის მეთოდის ათვისებაში. ახლა ამ მეთოდით საამქროს მრავალი ხარატი მუშაობს.

მექანიკური საამქროს კოლექტივმა საპირველმაისოდ და ქარხნის 70 წლისთავის აღსანიშნავად იკისრა აპრილის საწარმოო გეგმის 105 პროცენტით შესრულება, გეგმის გადამეტებით 4 საორთქლმავლე ცილინდრის გამოჩარხვა, რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვების გაძლიერება და ლითონის დამუშავების ძალოსნური მეთოდის დანერგვა ყველა ხარატის მუშაობაში.

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი ყოველდღიურად აძლიერებს მუშაობის ტემპს ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ორთაჭალპესის მშენებლობაზე

ორთაჭალპესის მშენებლებმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს — მოსალოდნელი საგაფაფუხულო წყალდიდობის დაწყებამდე საგარანტიო სიმაღლემდე აიყვანეს კაშხალის მესამე ბურჯი და კაშხალის პირველ ორ მალში გაშვებულ მდინარეს მეხამე მალითაც მისცეს გზა.

ეს მშენებლების დიდი გამარჯვებაა: კაშხალის მესამე მალში მდინარის გაშვებით და ახალი ბურჯის საგარანტიო სიმაღლემდე ამოყვანით მშენებლებისათვის საშიში აღარ იქნება მტკვრის ადიდება. სამშენებლო სამუშაოთა შემდგომი განვითარების საქმე ამით გარანტირებულია. მშენებლებს ახლა საშუალება აქვთ შეუდგნენ ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის დასკვნითი სამუშაოების შესრულებას — საქალაქო ხიდის მარჯვენა ბურჯის მშენებლობას, კაშხალის მეოთხე მალის გამზადებას.

1 აპრილისათვის მეოთხე მალის დაბეტონება (კაშხალის მესამე ბურჯსა და საქალაქო ხიდის მარჯვენა ბურჯს შუა) დამთავრებული იყო. მშენებლები უკვე გადავიდნენ ხიდის მარჯვენა ბურჯის მშენებლობაზე. ამ ბურჯისათვის საჭირო ქვაბული სანახევროდ მზად არის. ახლა ამზადებენ სამშენებლო ნაგებობე მექანიზმების მისასვლელ გზებს და იწყებენ კლდის სამუშაოთა შესრულებას.

საუკეთესოდ მუშაობენ და ნაკისრ საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მ. კუზმენკოს, ე. კაბისოვის და ი. ვორონკოვის ბრიგადები. სამშენებლო სამუშაოთა წარმატებით შესრულებას დიდად უწყობს ხელს გ. ხიზანიშვილის ზეინკალთა ბრიგადა, რომელიც ყოველდღიურად ორ ნორმას ასრულებს.

ორთაჭალპესის მშენებლობა დასკვნით სტადიაში გადავიდა. უკვე ამუშავდნენ მემონტაჟეები, დაიწყეს კაშხალზე მდინარისათვის გზის გადამღობი ფარების დამონტაჟება, ბურჯების თავზე ამწე მექანიზმების გამართვა.

ახლახან მშენებლებმა მიიღეს ცნობა, რომ უკვე გამოგზავნილია თბილისში გენერატორები, ხოლო რამდენიმე თვეში უზრუნველყოფენ ტურბინების გამოგზავნასაც.

ახლა მშენებლები იმას ცდილობენ, რომ დანიშნულ ვადამდე დაამთავრონ სამშენებლო სამუშაოები, უზრუნველყონ მემონტაჟეებისათვის გაშლილი სამუშაო ფრონტის გამზადება,

ტყიბულის დღევანდელი და ხვალინდელი სახე

ბ. ბაძრაძე
საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანი.

უხელმძღვანელოს ყოველ შახტს, უბანსა და ცალას. მოკლე ხანში უნდა მივაღწიოთ ქვანახშირის ამოღების საქმეში მკვეთრ გარდატეხას, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შეეასრულოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე ამხანაგ ა. ი. მგელაძის მიერ მოცემული მითითება იმის შესახებ, რომ ტყიბულელი მეშახტეები საქართველოს მოწინავე მეშახტეთა რიგებში უნდა ჩადგნენ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განსაკუთრებით კი ომისშემდგომ პერიოდში უდიდესი ყურადღება ექცევა მეშახტეთა ქალაქის მშენებლობასა და კეთილმოწყობას. ამ საქმეზე ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი მანეთი იხარჯება.

ქალაქში თითქმის ვერ ნახავთ ვერც ერთ ჰექტარ ცარიელ ადგილს. ყველგან შენდება საცხოვრებელი სახლები, კულტურის კერები, მოედნები, სკვერები. განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაშლილი ქალაქის ცენტრში, სადაც მეშახტეებისათვის უკვე აშენდა ბევრი კარგად მოწყობილი ლამაზი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაგა, საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა, განხორციელდა ქუჩების რეკონსტრუქცია, მდინარე ტყიბულაზე გაკეთდა კაპიტალური ხიდი. გასული წლის ბოლოს დამთავრდა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება, სადაც შესახლდნენ მოწინავე მეშახტეების, ქალაქის სამეურნეო და პარტიული მუშაკების ოჯახები.

სტალინის ქუჩაზე ამ ცოტა ხნის წინათ აიგო ორსართულიანი საყოფაცხოვრებო კომბინატი, აიგო და ამუშავდა კიდევ ერთი ახალი აბანო, განათლების ქუჩაზე აშენდა ორსართულიანი სამშობიაროო სახლი.

დიდი მშენებლობაა გაშლილი შახტების ტერიტორიებზეც. სტალინის სახელობის შახტის ტერიტორია დამშვენდა სამსართულიანი სახლებით, კეთილმოწყობილი გზით, ელექტრომეურნეობისა და წყალთა მეურნეობის განვითარებული ქსელით.

მრავალი ლამაზი საცხოვრებელი სახლითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებით არის მოფენილი ლენინისა და მოლოტოვის სახელობის შახტების მთაგორიანი ტერიტორიებიც.

თუ ამ 32 წლის წინათ დაბა ტყიბულში მეშახტეებისათვის არც ერთი კლუბი და ბიბლიოთეკა არ იყო, მათი ბავშვებისათვის კი გახსნილი იყო მხოლოდ ერთი სამკლასიანი სკოლა 31 მოსწავლით, სადაც ბავშვთა აღზრდა მინდობილი ჰქონდა ერთ მასწავლებელსა და ერთ მღვდელს, ამჟამად ტყიბულელ მეშახტეებს მომსახურებას უწევს კულტურის საქალაქო სახლი, საქალაქო ბიბლიოთეკა, ინჟინერ-ტექნიკოსთა ბიბლიოთეკა, 4 კლუბი და რამდენიმე პროფკავშირული წითელი კუთხე. მეშახტეთა ბავშვების აღზრდისათვის ქალაქში მუშაობს 5 საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლა — 2.385 მოსწავლით, რომელთა აღზრდას 133 მაღალკვალიფიციური პედაგოგი ემსახურება. სკოლები მოთავსებულია ნათელ, კეთილმოწყობილ შენობებში და ისინი უზრუნველყოფილია საჭირო კაბინეტებითა და სასწავლო ნივთებით.

მეშახტეთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 5 საავადმყოფო 190 საწოლით, ერთი პოლიკლინიკა, 4 საექიმო პუნქტი, 71 ექიმი, 191 ექიმის თანაშემწე. გარდა ამისა, ქალაქში მუშაობს 5 საბავშვო ბაღი, 4 ბავშვთა ბაგა და 2 აფთიაქი.

ასეთია მეშახტეთა ქალაქ ტყიბულის დღევანდელი სახე.

მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნებოდა, ტყიბულმშახტმშენის ტრესტისა და მისი სამმართველოების ხელმძღვანელები მთლიანად რომ იყენებდნენ იმ შესაძლებლობებს, რაც მათ მშენებლობის დასაჩქარებლად აქვთ. საბინაო-კომუნალური მშენებლობის სამმართველო (უფროსი ვ. სანაძე) მთელი რიგი წლების განმავლობაში ვერ ასრულებს მეშახტეთა ბინების მშენებლობის გეგმებს. აქ სრული დატვირთვით ვერ იყენებენ მძლავრ, დიდი წარმადობის მექანიზმებს, რომლებიც მშენებლებს უადვილებენ შრომას და ამავე დროს აჩქარებენ მშენებლობას. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სამშენებლო სამუშაოთა ხარისხს. მშენებლები დაინტერესებული არიან მხოლოდ შენობის აგებით, ხარისხს, სიმკვიდრესა და სილამაზეს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

უხარისხო მშენებლობის შედეგად, ამ რამდენიმე ხნის წინათ მშენებლობის პროცესში მყოფ ერთ-ერთ სამსართულიან სახლს ფასადი ჩამოენგრა. ივანეს ... ...

საბჭოთა კავშირ-ალბანეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ალბანეთის სავაჭრო დელეგაციას შორის წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად ამა წლის 8 აპრილს ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შეთანხმება 1953 წელს საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ.

შეთანხმება ითვალისწინებს საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდებას 1952 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი ალბანეთს მიაწვდის მარცვლეულს, მოწყობილობას ნავთობის მრეწველობისათვის, სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სასუქებს, შავი და ფერადი ლითონების ნაგლინს, ქიმიკატებსა და სხვა საქონელს, რომელიც ალბანეთს ესაჭიროება.

ალბანეთი სსრ კავშირს მიაწვდის ნავთობს, ბიტუმს, სპილენძს, ტყავნედლეულს, მატყლს, თამბაქოს, ციტრუსოვნებსა და სხვა საქონელს.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა, ალბანეთის მხრივ — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. კოლეკამ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა გააკეთა მოხსენება ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" და პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიხედვით აკადემიის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი სტალინის კლასიკურმა ნაწარმოებმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", რომელიც უდიდესი წვლილია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში, და პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი ჰორიზონტი გადაუშალა საბჭოთა მეცნიერებას, ახალი პასუხსაგები ამოცანები დაუსახა მეცნიერებს. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა მთელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ თავიანთი შემოქმედებითი შრომით ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის საქმეში.

დიდი მუშაობა აქვთ შესასრულებელი აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებს, რომლებიც ამუშავებენ რესპუბლიკის მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების, ადგილობრივი მეტალურგიული ნედლეულისა და საშენ მასალათა გამოყენების აქტუალურ პრობლემებს, ქვანახშირისა და მანგანუმის ამოღების, ახალ შენადნობთა მიღების რაციონალური მეთოდების საკითხებს.

საქართველოს მეცნიერები შემოქმედებით მონაწილეობას იღებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა შექმნაში. მათი დახმარებით გადაწყდა თურქმენეთის მთავარი არხის, ჩრდილოეთ ყირიმისა და სამხრეთ უკრაინის არხების მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი პრობლემები. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ დახმარება დიადი მშენებლობებისადმი.

საკოლმეურნეო წარმოებისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხთა დამუშავებაზე მუშაობენ აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებანი. ამ მუშაობის მიზანია დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რათა წარმატებით გადაწყვიტონ პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში უზრუნველყონ საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით.

აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა კრების მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს მეცნიერებისა და წარმოების შემოქმედებითი თანამშრომლობა, გაძლიერდეს დახმარება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისადმი და გაფართოვდეს მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთობა.

კრებაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლის გ. ს. ძოწენიძის მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1952 წელს გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წლის გეგმების შესახებ.

მომხსენებელი შეეხო აკადემიის ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მიერ მიღწეულ წარმატებებს და აღნიშნა, რომ მთელი რიგი ინსტიტუტების მუშაობაში აღმოჩენილ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი. მარქსისტული მეცნიერების უხეში დამახინჯება დაშვებულ იქნა ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობაში. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საქმიანობა მოწყვეტილი იყო თანამედროვეობის საკითხებს. სუსტად ახორციელებდნენ წარმოებასთან კავშირს ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტები ძირითადად იმუშავებენ იმ ცალკეული პრობლემების დამუშავებაზე, რომლებიც დასახულია ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომებში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" და „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების მუშაკები დაამუშავებენ 126 მეცნიერულ თემას, რომლებიც ძირითადად მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის საჭიროებასთან.

მემინდვრეობის ინსტიტუტის ძირითადი სამუშაოა მარცვლეული კულტურების აგროტექნიკური ღონისძიებათა დამუშავება. დამუშავდება აგრეთვე ტექნიკური კულტურების, ყურძნისა და საკვები ბალახების მოსავლიანობის გადიდების აგროტექნიკური ღონისძიებანი. ტყის ინსტიტუტის წინაშე დასახულია რესპუბლიკის უტყეო რაიონების ხელოვნური გატყევების საკითხთა შემდგომი დამუშავების ამოცანა.

რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო იმუშავებს კომპლექსური პრობლემების შესწავლაზე, რომლებიც ითვალისწინებენ ზემო ალაზნის არხისა და თბილისის წყალსაცავის ყოველმხრივ შესწავლას. გაგრძელდება აგრეთვე მუშაობა კრებულის „საქართველოს ბუნებრივი რესურსების" შესადგენად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში წელს განზრახულია მოეწყოს საქართველოს სრული ეთნოგრაფიული გამოფენა.

კრების მონაწილეებმა, განიხილეს რა მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მოხსენებანი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატური გეგმები 1953 წლისათვის, შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია აკადემიის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება.

საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია საქართველოს მეცნიერთა წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. (საქდესი).

წერილები რედაქციას

მივაწოდოთ მშენებლებს მაღალხარისხოვანი აგური და კრამიტი

თბილისის ოლქის ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა კოლექტივებმა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს უპასუხეს გადიდებული საწარმოო ვალდებულებების აღებით. ამ ვალდებულებათა ის ნაწილი, რომელიც განაღდებული უნდა ყოფილიყო 1952 წლის განმავლობაში, საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა. შარშან ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 6.513 ათასი მანეთის, ხოლო სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა — 8.990 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ ზეგეგმით პროდუქციაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ისეთი ხასიათის ფართო მოხმარების საქონელს, როგორიც არის ტრიკოტაჟი, რეზინის ფეხსაცმელი, ლითონის საწოლები, ჩემოდნები, ქალისა და მამაკაცის წინდები, ავეჯი, კაფელის ღუმელები და ა. შ.

მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი და წარმატებები აქვთ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულებაში ადგილობრივი მრეწველობის ხაშურის, ახალციხის, მარნეულის და ბორჯომის რაიონების სამრეწველო კომბინატებს, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის სისტემის არტელ „კერამიკას", ვოროშილოვის სახელობის (თბილისი) და მახარაძის სახელობის (ახალციხე) არტელებს.

ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის სისტემაში კვლავ არასაკმაო ყურადღება ექცევა ადგილობრივი საშენი მასალების — აგურისა და კრამიტის გამოშვების გადიდებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში არც ერთ სისტემას არ შეუსრულებია აგურისა და კრამიტის გამოშვების გეგმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღნიშნა როგორც ნაკლი ის, რომ ზოგ კოლმეურნეობაში შექმნილია დამხმარე საწარმოები, რომლებიც ამზადებენ ადგილობრივ საშენ მასალებს — აგურს, კრამიტს, კირს და სხვ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი დამხმარე საწარმოების შექმნა აძვირებს ადგილობრივ საშენ მასალებსა და ამავე დროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყურადღებას აშორებს იმას, რომ გადაჭრან თავიანთი უშუალო ამოცანა — გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. აგურის, კრამიტის, კირისა და სხვა საშენი მასალების წარმოება საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და სარეწაო კოოპერაციის პირდაპირი საქმეა.

ამრიგად, საშენ მასალებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა. ამავე საწარმოებმა თავიანთი პროდუქციის საკმაო ნაწილი უნდა დაუთმონ ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს ქალაქად და სოფლად.

თბილისის ოლქის ადგილობრივი მრეწველობის აგურ-კრამიტის ქარხნები, გარდა თბილისის მექანიზებული ქარხნისა, ნახევრად მექანიზებული ან კუსტარულად არიან მოწყობილი. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აგურ-კრამიტის ქარხნების უმეტესობა გეგმას ვერ ასრულებს, ამ ქარხნებში ადგილი აქვს საწვავისა და ხელფასის გადახარჯვას, ხოლო ამის შედეგად პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობ გადიდებას და საშენ მასალათა ხარისხის გაუარესებას.

ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის უწყებათა ხაზით აგურ-კრამიტის ახალი ქარხნების მშენებლობას ხშირად ხელაღებით, მოუფიქრებლად იწყებენ და შემდეგ ასეთ მშენებლობას აჭიანურებენ. არის შემთხვევები, როდესაც ახდენენ დაწყებული მშენებლობის კონსერვაციას იმის გამო, რომ თავიდანვე არ იყო შესწავლილი თიხების ვარგისიანობა, მათი მარაგი, წყალითა და ელექტროენერგიით მომარაგების შესაძლებლობანი და საერთოდ მშენებლობის დაწყების მიზანშეწონილობა.

რამდენჯერმე ჩაიშალა სარეწაო კოოპერაციის გორის, თელავისა და კოდას აგურის ქარხნების მშენებლობის დამთავრების დადგენილი ვადები; ამ ქარხნებში გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო დღესაც დაუმთავრებელია, თუმცა ქარხნები რამდენიმე წელია მუშაობენ. აგურ-კრამიტის ეს საწარმოები სეზონურად მუშაობენ. ქარხნების ეს სეზონურობა საჭიროს ხდის იმას, რომ აგურ-კრამიტის დასაყალიბებლად თიხის დამზადება ხდებოდეს შემოდგომაზე, გამოსაზამთრებლად, რითაც პროდუქციის ხარისხი დიდად უმჯობესდება და დაყალიბების შემდეგ ნედლი პროდუქციის დანაკარგები საგრძნობლად მცირდება.

სეზონისათვის გულდასმით მომზადების საქმეს აგურ-კრამიტის საწარმოთა ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. შემოწმებით დადასტურდა, რომ თბილისის ოლქის ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის აგურ-კრამიტის საწარმოებში სეზონისათვის მზადება წელსაც არადამაკმაყოფილებელია.

ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის აგურ-კრამიტის ქარხნების მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. პროდუქცია ხშირად არასტანდარტულია და ვერ აკმაყოფილებს ტექნიკურ პირობებს, აგურისა და კრამიტის მარკირება ხდება ზერელედ, ლაბორატორული დასკვნების მიუღებლად.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ აგურ-კრამიტის ქარხნების მუშაობას სათანადო მეთვალყურეობასა და ხელმძღვანელობას არ უწევენ ოლქის ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელები. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ საშენ მასალათა საწარმოების ნორმალური მუშაობით, არ ამოწმებენ სამრეწველო კომბინატებისა და სარეწაო არტელების აგურ-კრამიტის ქარხნების მუშაობას, არ უწევენ მათ დახმარებას.

უახლოესი ორი წლისათვის გათვალისწინებულია აგურისა და კრამიტის გამოშვების გადიდება 1952 წელთან შედარებით ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ორჯერ, ხოლო სარეწაო კოოპერაციის ხაზით — სამჯერ.

თბილისის ოლქში მეხუთე სტალინური ხუთწლედის ბოლომდე უნდა დამთავრდეს არსებული აგურ-კრამიტის ქარხნების რეკონსტრუქცია, აგებულ იქნას საშრობი ფარდულები ისეთი რაოდენობით, რომ სავსებით შეესაბამებოდეს ღუმელთა წარმადობას, ლიკვიდირებულ იქნას შეუფარდებლობა საშრობ და საღუმელე მეურნეობებს შორის, ამასთან საჭიროა განხორციელდეს კუსტარული ქარხნების მექანიზაცია და ახალი აგურ-კრამიტის ქარხნების მშენებლობა.

აგურ-კრამიტის საწარმოთა მუშაობის სეზონი მოახლოებულია. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო სეზონისათვის მზადების დასამთავრებლად, რათა აპრილის შუა რიცხვებიდან შევუდგეთ აგურისა და კრამიტის დაყალიბებას.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებისათვის გამოსადეგი ნედლეულით. წელს ამ ნედლეულის გამოყენება უნდა გავაფართოვოთ, მშენებლებს მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი საკედლე და სახურავი მასალა, საუკეთესო ხარისხის აგური და კრამიტი.

ამ ამოცანის შესრულებაში აგურისა და კრამიტის საწარმოთა კოლექტივებს ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა.

ო. ჭლიკაძე,

საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



ვარშავაში საბჭოთა კავშირის სახსრებითა და ძალებით დაწყებულია კულტურისა და მეცნიერების სასახლის მაღალ შენობათა კომპლექსის მშენებლობა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ კულტურისა და მეცნიერების ამ სასახლეს მიაკუთვნა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის უკვდავი სახელი. ს უ რ ა თ ზ ე: მშენებლობის ერთ-ერთი უბანი; ლითონის არმატურის მონტაჟი და საფუძვლის დაბეტონება.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ახალი ჩინეთის ქალები

პეკინი, 7 აპრილი. (საქდესი). ჩინელი ხალხის განთავისუფლებამ ჩინეთის ქალებს ფართო შესაძლებლობა მისცა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. განთავისუფლების შემდეგ განვლილი წლების მანძილზე ბევრი ქალი დაწინაურდა ხელმძღვანელ პოსტებზე სახელმწიფო აპარატში, დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში. ამ ხნის მანძილზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მომზადებულია ასობით ქალი — ორთქლმავლის მემანქანეები, ტრაქტორისტები, გეოდეზისტები და ბევრი სხვა პროფესიის მუშაკი. ეს პროფესიები წინათ ჩინელი ქალებისათვის მიუწვდომელი იყო.

მას აქეთ, რაც ჩინეთში ფართო ეკონომიკური მშენებლობა გაჩაღდა, სულ უფრო მეტი ქალი გამოთქვამს სურვილს იმუშაოს მშენებლობაზე. როგორც გაზეთი „ძენმინჟიბაო" იუწყება, ანშანის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე 220 ქალი, რომელნიც მშენებლობაზე იანვარ-თებერვალში მივიდნენ, ეუფლება ელექტროშემდუღებლის, გეოდეზისტის, ტელეფონისტის, ელექტრიკოსისა და სხვა სპეციალობებს. ისინი მაისში დაიწყებენ დამოუკიდებელ მუშაობას.

90-მდე ქალი მოვიდა გასული წლის ოქტომბერში მშენებლობებზე, რომლებსაც აღმოსავლეთ ჩინეთის სამშენებლო სამმართველო აწარმოებს. ისინი ოთხ თვეში სავსებით დაეუფლნენ სხვადასხვა სამშენებლო სპეციალობას და ახლა, მუშაობენ რა მამაკაცების თანაბრად, კარგად ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

საწარმოო პროცესთა მექანიზაცია ალბანეთში

ტირანა. (საქდესი). ალბანეთის პირველი ხუთწლედი ითვალისწინებს საწარმოო პროცესთა მექანიზაციის მნიშვნელოვან ზრდას მრეწველობის ყველა დარგში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შემდგომ მექანიზაციას.

წელს დიდ მშენებლობებზე გამოყენებულ იქნება 80 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან, თანამედროვე მექანიზმები: ექსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები. მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა 60 პროცენტით გადიდდება.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა მექანიზაციას და ელექტროფიკაციას. მემალიაის ქვანახშირის შახტაში 1953 წელს გამოყენებულ იქნება ელექტროკომპრესორები და ელექტროტრანსპორტიორები. სამთამადნო მრეწველობა უმთავრესად ახალი ტექნიკის გამოყენებით წელს 1952 წელთან შედარებით სახელმწიფოს მისცემს 20 პროცენტით მეტ ნავთსა და ერთნახევარჯერ მეტ ბიტუმს.

იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. მტს-ები, სახელმწიფო სასოფლო მეურნეობები იღებენ სულ უფრო მეტ თანამედროვე მანქანას. ამჟამად მტს-ები ასრულებენ რვაჯერ უფრო მეტი მოცულობის სამუშაოებს, ვიდრე 1947 წელს. ხუთწლედის განმავლობაში განხორციელდება მთელ რიგ სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა ელექტროფიკაცია.

ჩეხოსლოვაკიის მინდვრებზე

პრაღა, 6 აპრილი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიაში გაჩაღებულია საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. წელს ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დიდ დახმარებას უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებმაც მიუხედავად ძალიან ადრე გაზაფხულისა, მოასწრეს მოემზადებინათ თესვის კამპანიისათვის ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მთელმა რიგმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უკვე მთლიანად შეასრულეს საადრეო საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. მათ შორის არის გოტვალდის ოლქის ლუდსლავიცის მტს-ი. ამ მტს-ის ტრაქტორისტების მიერ გეგმის შესრულებას ხელი შეუწყო ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებამ და მანქანების მზრუნველობით მოვლამ. მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტმა ვაცლავ გეროლდესმა „შკოდა-30" ტრაქტორით ხვნაზე გადაყვანით დაამუშავა 257 ჰექტარი და იკისრა ვალდებულება 1 მაისამდე დაამუშაოს კიდევ 100 ჰექტარი.

შენიშვნები ახალ წიგნებზე

თანამედროვე საბავშვო მოთხრობა

საბავშვო მწერალს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ნორჩი მკითხველის წინაშე. მხატვრული ნაწარმოების ავკარგიანობაზეა დამოკიდებული, როგორ კვალს დატოვებს იგი მოზარდის ცნობიერებაზე. თვითეული საბავშვო წიგნი უნდა იყოს ღრმად იდეური და მაღალმხატვრული. ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა მ. გორკი, როდესაც ამბობდა, ბავშვებზე უნდა ვწეროთ ისე, როგორც მოზრდილებზე, მხოლოდ უფრო უკეთესად.

საბავშვო მწერალი ანა ხახუტაშვილი მრავალი კარგი მოთხრობის ავტორია. იგი კლასიკური საბავშვო ლიტერატურის გზას მიჰყვება.

გასულ წელს „საბლიტგამმა" გამოსცა ა. ხახუტაშვილის მოთხრობები „გაზაფხულის მერცხლები". კრებულში არის მთელი რიგი მოთხრობები, რომლებიც აშკარად მეტყველებენ მწერლის დაკვირვების უნარსა და მხატვრულ ალღოზე. ანა ხახუტაშვილს, როგორც საბავშვო მოთხრობების ავტორს, კარგად ეხერხება ბუნებრივი ქართული ენით თხრობა. მწერალს ახასიათებს გულწრფელი, დამაჯერებელი ტონი, იგი არასოდეს მიმართავს მშრალ მსჯელობას და ყოველთვის ცდილობს ამბავი ემოციური და საინტერესო გახადოს ნორჩი მკითხველისათვის. უდავოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მოთხრობები „სკოლის ტოროლა", „სიმღერა", „პატარა დიასახლისი", „შიოს სიხარული", „ლენინი ცოცხალია", „ახალი ხიდი" და სხვ.

მკითხველს არ ავიწყდება მოთხრობა „სკოლის ტოროლას" გმირი პატარა სოფო, რომელსაც ადრე სურს სწავლის დაწყება სკოლაში, რათა წერა-კითხვა მალე ისწავლოს და ფრონტზე მყოფ მამას წერილი თვითონ მისწეროს.

კარგად გაიაზრებულია მოთხრობა „სიმღერა", რომელიც ბელადის ბავშვობის ერთ პატარა ეპიზოდს აღადგენს.

გულთბილად არის დაწერილი მოთხრობა „შიოს სიხარული". მასში დახატულია ცნობილი საბავშვო პოეტის შიო მღვიმელის ჰუმანური სახე. კომუნიზმის მშენებელთა დიდი სიხარული იგრძნობა მოთხრობაში „ახალი ხიდი", რომლის გმირი ნოდარი ცდილობს ყველაზე წინ გაიაროს ახალ ხიდზე, ყველაზე პირველმა განიცადოს სახალხო აღტაცება.

დიდაქტიკური ხასიათისაა პატარა მოთხრობები „ყანაში", „გოგი ბოსტანში", „დედას დაეხმარნენ", „შენი კალთების ჭირიმე, ურწყავო".

ანა ხახუტაშვილის მოთხრობებს არსებითი ნაკლიც ახასიათებს.

მკითხველს თვალში ეცემა ერთი რამ: მწერალი თანამედროვე ბავშვს ხშირად გვიხატავს ისეთ საგნებთან და მოვლენებთან აქტიურ ურთიერთობაში, რომელიც ტიპიურ სიტუაციას არ წარმოადგენს. მისი მოთხრობების გმირი ბავშვი უფრო მეტად ბუნების და ცხოველთა ყოფასთან ურთიერთობაშია, ვიდრე ადამიანთა ცოცხალ სინამდვილესთან. ამას მისი მოთხრობების სათაურების ჩამოთვლაც გვარწმუნებს: „მარო და მამალი", „ასმათის ფისო", „ციალას ფისო", „ვასიკოს იორღა". მოთხრობებში „შენობა გაიპარა", „სიზმარი", „გაზაფხულის მერცხლები", „ტყის ზღაპარი", „ერთი წვეთი წყალის გულისათვის", „გმირი ჭრიჭინა", „გულადი წრუწუნა", „მურიკას მარცხი", „ზღარბის თავგადასავალი" დიდი ადგილი აქვს დათმობილი მცენარეებს და ცხოველებს.

ასეთი თემატიკური შეზღუდულობა მწერალს აშორებს ცოცხალ სინამდვილეს. ამასთანავე ცხოველთა და ფრინველთა ყოფის აღწერაში მწერალს ხშირად ვერ შეაქვს სიახლე და თქმულს იმეორებს სხვა სახით. მოთხრობა „ტყის ზღაპარი" ხალხური ანდაზის პარაფრაზია და სხვა არაფერი, ხოლო მოთხრობა „ზღარბის თავგადასავალი" პირდაპირ იმეორებს ი. გოგებაშვილის მოთხრობა „დევნილ მეგობარს" იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს გაცილებით მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

საბავშვო მწერალს უფლება არა აქვს ეფექტური ამბით გატაცებას შესწიროს იდეა, რომელიც ბავშვს უნდა მიაწოდოს. მოთხრობა „შენობა გაიპარა" მარტო თავისი სათაურით როდია უცნაური. ბანაკში მყოფი პიონერები ლოკოკინებისაგან უცნაურ „სასახლეს" აკეთებენ, რომელსაც აივანზე დატოვებენ ღამით. ამ „საკვირველ" სასახლეს მოულოდნელად მოსული წვიმა შლის და ლოკოკინები შეესევიან პიონერთა საწოლებს, რაც ბავშვებში პანიკას იწვევს. ეს არის და ეს. რას ეუბნება მწერალი ამით ბავშვებს?

წიგნში შეტანილი არც ერთი მოთხრობა დათარიღებული არ არის. ამიტომ გაურკვეველი რჩება — ა. ხახუტაშვილის წერის მანერაა ძველი ყოფის დამახასიათებელი ნიშნებით და დეტალებით ჩვენი ცხოვრების გამოხატვა თუ მოთხრობის ამბავი ძველ დროს მიეკუთვნება: „დღეს ისიც მოწაფეა, ხელში დედის მიერ შეკერილი ლეიბის პირის ჩამონახევი ზოლიანი ჩანთა უჭირავს"... „წარსულ კვირას ბავშვები გაკვეთილების დასამზადებლად მაგიდას ადრიანად რომ შემოუსხდნენ, ეს გოგოც ბუხართან ათუხთუხებულ ლობიოს ქოთანს მისჯდომოდა და თავისი უფროსი ძმის წაკითხულ გაკვეთილს ხარბად უსმენდა"... („სკოლის ტოროლა") და ა. შ. ამას თან ერთვის დიალექტური გამოთქმები: „აზირ შენ ისა თქვა", „რაზედა ბატონო და იმაზედ..." და ზოგიერთი პროვინციალიზმი.

საბავშვო მწერალი არ უნდა ფიქრობდეს პრიმიტიულად, შიშვლად მიაწოდოს ბავშვს ესა თუ ის იდეა. ეს უნდობლობაა ჩვენი ეპოქის მოზარდებისადმი, რომლებიც ადრეულ ასაკშივე შედიან დიდი ცხოვრების კურსში.

ანა ხახუტაშვილის და ყველა საბავშვო მწერლის უკეთილშობილესი ვალია გვიჩვენონ თანამედროვე ბავშვთა, კომუნიზმის მომავალ მოქალაქეთა, ამაღლებული, ლამაზი და მჩქეფარე ცხოვრება.

გ. ხუხაშვილი.

ა. გაიდარის მოთხრობები ქართულად

არკადი გაიდარი ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი მწერალია. მან ყველაზე ლამაზი, ყველაზე წარმტაცი ფერებით დაგვიხატა საბავშვო გმირების დაუვიწყარი სახეები და ასწავლა ბავშვებს როგორ უნდა უყვარდეთ სოციალისტური სამშობლო, როგორ უნდა გახდნენ ნამდვილი ადამიანები. მწერალი მათ უნერგავდა სიმტკიცის, სიმამაცის, შეუდრეკლობის გრძნობას, რომ ისინი იყვნენ უანგარონი, სპეტაკნი, მართალნი, რომ კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაში საჭიროებისას თავის გაწირვაც შეეძლოთ. არკადი გაიდარის მგზნებარე ნაწარმოებნი და თვით მისი ცხოვრების გზა დღესაც ჩვენს მოზარდ თაობას დიდი საქმეებისათვის შთააგონებს.

სამწუხაროდ, ქართულად ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ა. გაიდარის ნაწარმოებთა მთლიანი თარგმანი. ამიტომ მისი ორი საუკეთესო მოთხრობის: „სამხედრო საიდუმლოებისა" და „მედოლის ბედის" ქართული თარგმნის გამოცემა უსათუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. თარგმანი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს (მთარგმნელი ზ. შელია).

არკადი გაიდარი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატია და მის ნაწარმოებთა თარგმნა არც თუ ადვილი საქმეა. იგი უწინარეს ყოვლისა ღრმა დაკვირვებასთან ერთად ქართული და რუსული ენების საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს, რაც უდავოდ ჩანს ზ. შელიას თარგმანებში. მიუხედავად ამისა, თარგმანს მაინც აქვს არსებითი ნაკლი — საგრძნობია თარგმანის ენის ერთგვარი სიღარიბე და სიმშრალე. მთარგმნელი არ ცდილა ღრმად ჩასწვდომოდა ქართული ენის სიმდიდრეს. ამიტომ მისი მეტყველება ნაკლებად პოეტური, ნაკლებად მხატვრულია. ერთია სიტყვასიტყვითი თარგმანი, ხოლო სულ სხვაა მწერლის ნააზრევის გადატანა მეორე ენაზე. ეს თავისებური შემოქმედებაა. ხშირად ხდება — კითხულობთ თარგმანს და ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, ყველა სიტყვა ადგილზეა, მაგრამ მთავარი, ის, რისი თქმაც ავტორს სურდა, მაინც არ არის თქმული... საქმე ის არის, რომ ზოგიერთ მთარგმნელს მექანიკურად გადააქვს სიტყვები და წინადადებები, არ სწვდება დედნის არსს. იმისათვის, რომ ნაწარმოებმა თარგმანში მხატვრული სიძლიერე შეინარჩუნოს, აუცილებელია მთარგმნელმა იგრძნოს ნაწარმოები მთლიანად, განიმსჭვალოს მით, თავისად გაიხადოს მწერლის ჩანაფიქრი, გაითვალისწინოს ყოველი წვრილმანიც კი. ზ. შელიას თარგმანები განსაკუთრებით ამ მხრივ მოისუსტებს. შესამჩნევია აჩქარებაც, უყურადღებობა და ამის წყალობით შეცდომები. გვხვდება სუსტი, ზოგჯერ არაზუსტი ადგილებიც. აღსანიშნავია, რომ გაცილებით უფრო სუსტად არის თარგმნილი მოთხრობა „სამხედრო საიდუმლოება". მოვიყვანთ თითო-ოროლა დამახასიათებელ მაგალითს.

ერთ-ერთი გმირის დასახასიათებლად ავტორი წერს: „Белокурый мальчуган, но с глазами темными и веселыми", ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა: „...შავ მხიარულ — თვალება ქერა ბიჭუნა" (გვ. 7) რამდენჯერ იმეორებს ამას ავტორი და ქართულშიც ყველგან темный თარგმნილია როგორც შავი, გამოდის, რომ ალკა შავთვალა ბიჭუნაა. თითქოს ყველაფერი რიგზეა და სადაოც არაფერი გვექნებოდა, რომ გაიდარს სხვა გვერდზე არ ეთქვა: „Отовсюду на нее смотрели глаза—большие, карие". „ყოველი მხრიდან შემოსცქეროდნენ თვალები — დიდი, მუქი თაფლისფერი, როგორც ალკას თვალები"... (გვ. 62). აშკარაა, ალკას თაფლისფერი თვალები ჰქონია. ქართულ თარგმანში კი ალკას თვალები ჯერ შავი აქვს, ხოლო შემდეგ თაფლისფერი. ასეთი წინააღმდეგობა ნაწარმოებში არ არის. იგი მთარგმნელს მოუვიდა და აი რატომ: მან темный თარგმნა როგორც შავი (черный), ხოლო როცა მწერალმა მუქ ფერს განსაზღვრულობა მისცა, მთარგმნელმაც იგივე გადმოიტანა ისე, რომ არც კი გაახსენდა, რა ფერი მისცა წინა გვერდებზე ალკას თვალებს. ასეთი უყურადღებობის ნიმუშები საკმაოდ ხშირად გვხვდება.

უმეტეს შემთხვევაში მთარგმნელი ყველაზე ძლიერი ადგილების თარგმნისას მოიკოჭლებს. განცდით დატვირთულ სტრიქონებს იგი აუფერულებს, ამარტივებს და ფერმკრთალად გადმოაქვს.

ზოგჯერ მთარგმნელს ახალი სიტყვები შეაქვს ტექსტში. არაფერი გვეთქმის, როცა ამას ზიანი არ მოაქვს ნაწარმოებისათვის, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ერთი ზედმეტი სიტყვაც კი ჩრდილს აყენებს ავტორის შეხედულებას, აზრს. მაგალითად წიგნის 102-ე გვერდზე ვკითხულობთ „დედაჩემი ციხეში მოკლეს. — მოულოდნელად მიუგო ალკამ და დაბნეულ ვლადიკს პირდაპირ შეხედა თავისი მშვიდი არარუსული თვალებით". „არარუსული თვალები" დედანში არ არის. საინტერესოა საიდან მოიტანა იგი მთარგმნელმა? რატომ „ამდიდრებს" ასე ა. გაიდარის ტექსტს ჩვენი მთარგმნელი?

გვხვდება ენობრივად და სტილისტურად გაუმართავი ადგილებიც, მაგრამ მთარგმნელი ძირითადად მტკიცედ იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, რაც აუცილებლად აღსანიშნავია. იმედია ახალგაზრდა მთარგმნელი განაგრძობს ამ მხრივ მუშაობას და ჩვენს ახალგაზრდობას არკადი გაიდარის საინტერესო მოთხრობების საუკეთესო თარგმანებს მიაწვდის.

თარგმანს წამძღვარებული აქვს წერილი ა. გაიდარის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მისი ავტორი ვალენტინა ძიძიგური წარმოვიდგენს ა. გაიდარს, როგორც ჭეშმარიტად დიდ საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და მოქალაქეს. იგი გაიდარის ნაწარმოების მოკლე, მაგრამ სწორსა და ნათელ ანალიზს იძლევა.

მ. კვარაცხელია.

წიგნი სუბტროპიკულ მეხილეობაზე

ამხ. ნინო კვარაცხელიას ნაშრომი „სუბტროპიკული მეხილეობა", რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის მიერ არის გამოშვებული, სასარგებლო წიგნია. ჩანს, ავტორს სერიოზული შრომა გაუწევია სუბტროპიკული მეურნეობის აქტუალური საკითხების გასაშუქებლად.

სუბტროპიკული მეხილეობის აღმავლობა ახალ გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს ამ დარგში მომუშავეებს, განსაკუთრებით მეცნიერ მუშაკებს, სპეციალისტებს. სპეციალური ლიტერატურის ფონდის ახალი სერიოზული ნაშრომით გამდიდრება დაეხმარება ჩვენს ახალგაზრდობას, სოფლის მშრომელებს სუბტროპიკული მეხილეობის შესწავლის საქმეში. ამ წიგნით ხელმძღვანელობენ ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, ტექნიკუმების მსმენელები.

ნაშრომის ღირსება ის არის, რომ მასში კომპლექსურად არის განხილული სუბტროპიკული მეხილეობა.

მაგრამ ამ წიგნს აქვს ნაკლოვანებაც. სუბტროპიკული ხეხილიდან წიგნში განხილულია: 1) ციტრუსოვნები, 2) ხურმა, 3) ზეთისხილი, 4) ფეიჰოა, 5) მუშმულა, 6) პეკანი, 7) ავოკადო, 8) ფსტა და სხვ. რამდენადაც ეს კულტურები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აჯობებდა თვითეული მათგანის აგროტექნიკა ავტორს ცალცალკე განეხილა და ერთ ზოგად ჩარჩოში არ მოეცა.

საკმარისად არ არის გაშუქებული სუბტროპიკულ მეხილეობაში საძირეების საკითხი. ზოგადია განცხადება იმის შესახებ, რომ ტრიფოლიატზე დამყნობილი ციტრუსოვნების ჯიშები იძენენ დაბალი ტემპერატურის შედარებით მეტ გამძლეობას. საჭირო იყო შესადარებლად ციფრობრივი მონაცემები, თუ როგორ გაუძლეს საკუთარი ფესვების მქონე და ტრიფოლიატზე ან ბიგარადიაზე დამყნობილმა მცენარეებმა ამა თუ იმ დაბალ ტემპერატურას, ზოგადად ეს პრაქტიკოსებმაც იციან, მაგრამ მეცნიერებისაგან საჭიროა მეტი სიზუსტე.

მეტ კონკრეტულობას საჭიროებდა თესლის დამზადების საკითხი.

ავტორის აზრით, „...მწვანე პიკირებას უპირატესობა ეძლევა" (გვ. 111). „მეტადრე მნიშვნელოვანია პიკირების სწრაფი ჩატარება გვალვიან რაიონებში, სადაც ზაფხული მოკლეა (?) და ნიადაგი მალე შრება" (გვ. 113).

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში უპირატესობა აქვს პიკირების შემოდგომით (სადაც დიდი ყინვები არ იცის) და ადრე გაზაფხულზე ჩატარებას. 2-3-ფოთლიანი ტრიფოლიატის გადარგვა აღმოცენების წელსვე, მაისში მოითხოვს მეტი შრომის დახარჯვას მორწყვაზე და ნაკლებ ეფექტიანია. უმჯობესია გაზაფხულზე ნათესარის პიკირება იმავე წლის შემოდგომაზე ან მომდევნო წლის გაზაფხულზე, როდესაც საძირის მერქანი სიმწიფეშია შესული და მეტად უძლებს ამ ოპერაციას.

საკუთარფესვიანი მცენარის ვეგეტაციური გამრავლების საკითხის განხილვის დროს ავტორის არა კალმების დაფესვიანების, არამედ მემკვიდრეობის თვისებების შენარჩუნების თვალსაზრისით ი. ვ. მიჩურინისა და ტ. დ. ლისენკოს მეთოდების საფუძველზე უნდა ეჩვენებინა, თუ რა ხნოვანების ხიდან ჯობს კალმების აჭრა და რა ადგილას.

ავტორის აზრით, „მცენარე დარგვიდან ამოღებამდე იმყოფება ერთ და იმავე ნაკვეთზე" (გვ. 124). ეს მეტად გაუგებარი გამოთქმაა, ამასთან განყენებულია. ასე არ შეიძლება ითქვას ციტრუსოვნებზე, რომლებიც მუდმივ ადგილზე გადარგვამდე ორჯერაც კი შეიძლება შეტანილ იქნან გადასაზამთრებელ ფარდულში.

შემდეგ ავტორი წერს: „მყნობისას საძირეში დაწყებული უნდა იქნას (?) წვენის მოძრაობა, სანამყენო (ე. ი. კალამი, ნ. ი.) კი, პირიქით, უნდა იმყოფებოდეს დასვენების სტადიაში" (გვ. 129).

ჩვენ ვიცით, რომ მყნობის 90 პროცენტი მოდის მძინარე კვირტით მყნობაზე, რაც წარმოებს ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში, ამ დროს კი წვენის მოძრაობა, პირიქით, ინტენსიურია საძირეებშიც და კალამშიც.

ავტორი წერს: „სუსტად განვითარებულ ღეროს ან ღონიერ საძირეებს, როდესაც მათ არ ყოფნით ტენი ნიადაგში, ახასიათებს კანის ადვილად მოცილება იმის შემდეგ, როცა ჩერდება მათი ზრდა" (გვ. 130). არც ეს არის სწორი. სუბტროპიკული რაიონების სპეციალისტებმა და პრაქტიკოსებმა კარგად იციან, რომ ნიადაგში ტენის სიმცირე აჩერებს წვენის ინტენსიურ მოძრაობას, აძნელებს კანის მოცილებას, შეუძლებელს ხდის მყნობას და იძლევა გახარების დაბალ პროცენტს. ამიტომ მყნობისათვის, თუ ნიადაგში ტენი არ არის, მას ხელოვნურად ქმნიან.

წიგნში ნათქვამია: „მოვა თუ არა კალამი დანიშნულ ადგილას, უნდა დაუყოვნებლივ გაიხსნას და კალმები ჩაიწყოს წყალში. როდესაც კალმები გაიჟღენთება, უნდა დახარისხდეს" (გვ. 133). ეს ეწინააღმდეგება ავტორის მიერ წიგნის წინა გვერდებზე გამოთქმულ აზრს. ამხ. კვარაცხელიას დავიწყნია შემდეგი: იმისათვის, რომ აორთქლება ნაკლები იყოს, მოჭრილ კალამს აჭრიან ფოთლებს, სველ ხავსში ხვევენ, რომ არ დაჭკნეს და არ გამოშრეს, ხოლო კალმების წყალში ჩაყრა, წყალით გაჟღენთა და შემდეგ დახარისხება პრაქტიკაში მიღებული არ არის და ამ მეთოდებას არც რაიმე თეორიული გამართლება აქვს.

წიგნის ნაკლი ისიც არის, რომ მასში მოცემული არ არის სუბტროპიკული მეხილეობის მოწინავე ადამიანების გამოცდილება, მათი მუშაობის მეთოდები და ხერხები. ნაშრომი ბევრად მოიგებდა, ავტორს ამ საკითხზე რომ გაემახვილებინა ყურადღება. წიგნში არის ენობრივი შეცდომებიც.

იმედია შემდეგში ამ ნაშრომის გამოცემის დროს ეს ხარვეზები გამოსწორებულ იქნება.

ნინო იმნაიშვილი.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის უფროსი აგრონომი.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 8 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ პენმდონის რაიონში. მოწინააღმდეგემ არტილერიისა და ავიაციის დახმარებით ერთ პოლკამდე ძალებით არაერთგზის მოიტანა გააფთრებული იერიში. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია.

გუშინ ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს ანჯუსა და სუნანის მიდამოებში.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება პანმინჯონში

პეკინი, 8 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, რომ დღეს პანმინჯონში მეკავშირე ჯგუფების მესამე სხდომაზე მიღწეულ იქნა პროგრესი ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ შეთანხმებაში. ორივე მხარემ გაცვალა მონაცემები იმ ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა რიცხვის შესახებ, რომლებიც რეპატრიირებულ უნდა იქნან პანმინჯონზე გავლით.

კორეა-ჩინეთის მეკავშირე ჯგუფის მეთაურმა გენერალმა ლი სან ჩომ განაცხადა, რომ ამერიკის მხარეს გადაეცემა 600-მდე ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვე, რომლებიც კორეის სახალხო არმიასა და ჩინელ სახალხო მოხალისეებს ჰყავთ. ამ რიცხვიდან 450-მდე კაცი კორეელია და 150-მდე — არაკორეელი, რომელთა შორის არიან ამერიკელები და ინგლისელები. გენერალმა ლი სან ჩომ აღნიშნა, რომ ამჟამად ხდება მათი კლასიფიკაცია ეროვნების მიხედვით და რომ კლასიფიცირებული მონაცემები რაც შეიძლება ახლო დროში იქნება წარდგენილი.

კონტრ-ადმირალმა დანიელმა, რომელიც ამერიკის მეკავშირეთა ჯგუფს მეთაურობს, განაცხადა, რომ ამერიკის მხარე მოახდენს მის ხელში მყოფი 700 ჩინელი და 5.100 კორეელი ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვის რეპატრიაციას.

ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის ღონისძიებების განხილვისას მიღწეულ იქნა შეთანხმება გადიდდეს თვითეული მხარის სამხედრო პოლიციელთა რიცხვი 15-დან 30-მდე გაცვლის პერიოდში პანმინჯონში წესრიგის დაცვის მიზნით.

გენერალმა ლი სან ჩომ აღნიშნა: ამერიკელთა წინადადება, რომ ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა ავტოსატრანსპორტო კოლონები შედგებოდეს სულ ცოტა 10 მანქანისგან თვითეული, განუხორციელებელია, რამდენადაც ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო ტყვეთა ბანაკები გაფანტულია. ეს არც აუცილებელია, რამდენადაც ავტოსატრანსპორტო კოლონებს ექნებათ გარკვეული გამოსაცნობი ნიშნები და ავტოსატრანსპორტო კოლონების მოძრაობის დროს, მარშრუტებს, დასასვენებლად და ღამის გასათევად განლაგების ადგილებს ორივე მხარე წინასწარ აცნობებს ერთმანეთს.

ორივე მხარე აგრეთვე შეთანხმდა დანიშნონ შტაბის ოფიცრები ადმინისტრაციული დეტალების შესამუშავებლად. მეკავშირე ჯგუფებმა გამოაცხადეს შესვენება 9 აპრილის დილის 11 საათამდე, ხოლო ორივე მხარის შტაბის ოფიცრებმა მოაწყეს თავიანთი პირველი თათბირი.

ინდონეზიის საზოგადოებრიობა მხარს უჭერს ჩოუ ენ-ლაის განცხადებას

ჯაკარტა, 8 აპრილი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჩოუ ენ-ლაის განცხადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ინდონეზიის საზოგადოებრიობაში. ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუკარტო ნოტოვიდიგდომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ჩოუ ენ-ლაის წინადადება მშვიდობიანი გზით კორეის პრობლემის გადაჭრის შესახებ ქმნის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაში არსებული დაძაბულობის შემცირების შესაძლებლობას.

გაზეთი „მემბარ ინდონეზია" კომენტარს უკეთებს ჩოუ ენ-ლაის განცხადებას და წერს: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას გულთბილად შეხვდება ყველა, ვინც მშვიდობას ესწრაფვის. კორეის პრობლემა, რომელიც უკვე რამდენიმე წლის მანძილზე არსებობს და რომლის შედეგად იღუპება ათასობით ადამიანი, ინგრევა კორეის ქალაქები და სოფლები, ბოლოს, შეიძლება გადაჭრილ იქნას".

თურქეთის საგარეო ვაჭრობის კრიზისი

სოფია, 8 აპრილი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

წელს გაძლიერდა სიძნელენი თურქეთის საგარეო ვაჭრობის დარგში.

ამას წინათ, იმის საპასუხოდ, რომ ინგლისმა უარი თქვა აღარ იყიდოს მარცვლეული თურქეთში, თურქეთის ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრმა ენვერ გიურელმა განაცხადა, რომ თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა აღარ შემოიტანოს საქონელი ინგლისიდან.

თურქული გაზეთები ამა წლის 3 აპრილს იუწყებოდნენ, რომ მოლაპარაკება ვაჭრობაზე, რაც თებერვალში დაიწყო თურქეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის ანკარაში, შეწყდა ისე, რომ ვერ გამოიწვია რაიმე შეთანხმების დადება და დასავლეთ გერმანიის სავაჭრო დელეგაცია თურქეთიდან გაემგზავრა.

ინტერესს მოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ 1952 წელს თურქეთიდან დასავლეთ გერმანიაში შეიტანეს 240.700.000 თურქული ლირის საქონელი. დასავლეთი გერმანია იყო თურქული მარცვლეულის ყველაზე დიდი მყიდველი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დასავლეთმა გერმანიამ თურქეთში შეიძინა 800 ათასი ტონა მარცვლეული.

იმის შედეგად, რომ შეწყდა მოლაპარაკება ვაჭრობის საკითხზე დასავლეთ გერმანიასა და თურქეთს შორის, ამ უკანასკნელმა თავის მარცვლეულის გასაღების დიდი ბაზარი დაკარგა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

8 აპრილის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). დღეს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების რეზოლუცია, მიღებული პოლიტიკური კომიტეტის მიერ. რეზოლუცია, კერძოდ, შეიცავს განიარაღების კომისიის მუშაობის შექებას.

კენჭისყრის წინ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ მოკლე განცხადებაში აღნიშნა, რომ პოლიტიკური კომიტეტის წინადადება მისაღები იქნება საბჭოთა დელეგაციისათვის, თუ ამ წინადადებაში ამოიშლება განიარაღების კომისიის შექება და დამოწმება რეზოლუციისა, რომელიც ამ საკითხზე მიიღო გენერალურმა ასამბლეამ მეექვსე სესიაზე. ა. ი. ვიშინსკიმ მოუწოდა ასამბლეას მოიწონოს საბჭოთა შესწორებები, რომლებიც ითვალისწინებენ ზემოაღნიშნულ შესწორებებს, და განაცხადა, რომ თუ ასამბლეა მიიღებს მათ, მაშინ შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება რეზოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან არსებით დებულებებზე.

დასასრულ ვიშინსკიმ იმედი გამოთქვა, რომ სხვა დელეგაციები მხარს დაუჭერენ საბჭოთა დელეგაციას, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი ცდილობს მხარი დაუჭიროს მათ, ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, რომელმაც შეიძლება გზა გაუკაფოს შეთანხმებას სხვა ჯერ გადაუჭრელ საკითხებზე. ინდონეზიის წარმომადგენელმა სუჯარვომ მტკიცედ დაუჭირა მხარი საბჭოთა შესწორებებს და განაცხადა, რომ თუ გენერალური ასამბლეა მიიღებს ამ შესწორებებს, ამას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ დიდი სახელმწიფოები გამონახავენ შეთანხმების შესაძლებლობას, ხოლო ეს ხელს შეუწყობს ურთიერთუნდობლობის აღმოფხვრას და ნამდვილი პროგრესის მიღწევას განიარაღების საკითხში.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამაც მხარი დაუჭირა საბჭოთა შესწორებებს.

ინგლისის წარმომადგენელი ჯები დათანხმდა მიღებულ იქნას საბჭოთა შესწორება რეზოლუციიდან განიარაღების კომისიის შექების ამოშლის შესახებ. მაგრამ ჯებმა უარყო ის შესწორება, რომ ამოიშალოს ასამბლეის 1952 წლის რეზოლუციის დამოწმება.

შეერთებული შტატების დელეგატმა გროსმა უარყო საბჭოთა დელეგაციის ორივე შესწორება.

შემდეგ გამოვიდნენ უკრაინის სსრ, ინდოეთის, ლიბანის, არგენტინისა და სირიის წარმომადგენლები, რომლებმაც მოიწონეს საბჭოთა შესწორებები, ხოლო ბრაზილია, პერუ, ავსტრალია და კოლუმბია მიემხრნენ ინგლისის პოზიციას.

ლიბანის წარმომადგენელმა აზაკულმა აღნიშნა, რომ საბჭოთა შესწორებებით რეზოლუციის მიღება არ წაართმევს განიარაღების კომისიას მის ფუნქციებს, რამდენადაც ეს სპეციალურად დათქმულია გენერალური ასამბლეის განსახილველად წარმოდგენილი რეზოლუციის დასკვნითი ნაწილის მეორე პარაგრაფით.

გამოვიდა რა მეორედ, ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ ამერიკის წარმომადგენლის გროსის პოზიცია ემყარება გაუგებრობას. მან განაცხადა, რომ გროსი, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ 1952 წლის რეზოლუციის მნიშვნელობა შესუსტდება, თუ იგი არ იქნა დადასტურებული, მაგრამ ეს აუცილებლად ასე როდია. ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი არ ჩათვლის, რომ შეერთებული შტატები აღარ უჭერენ მხარს ამ რეზოლუციას, თუ იგი არ იქნა დადასტურებული. მან კვლავ მოუწოდა დელეგაციებს მხარი დაუჭირონ საბჭოთა შესწორებებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ თანამშრომლობის ატმოსფეროს.

ამის შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ კენჭი უყარა რეზოლუციის პროექტს. გენერალური ასამბლეა უკამათოდ დათანხმდა შეტანილ იქნას რეზოლუციაში პირველი საბჭოთა შესწორება. მეორე შესწორება კი უარყოფილ იქნა 33 ხმით 10 ხმის წინააღმდეგ (13 დელეგაციამ თავი შეიკავა).

კენჭისყრისას პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს 1952 წლის რეზოლუციის დადასტურებას, მიღებულ იქნა 38 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ (16 დელეგაციამ თავი შეიკავა). მთლიანად რეზოლუცია საბოლოოდ მიღებულ იქნა 52 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ (3 დელეგაციამ თავი შეიკავა).

საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობა

პარიზი, 9 აპრილი. (საკდესი). ბიულეტენი „აჟანს ეკონომიკ ე ფინანსიერი" აღნიშნავს, რომ 1953 წლის პირველ კვარტალში საფრანგეთის სამრეწველო წარმოება 7 პროცენტით შემცირდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მცირდებოდა უმთავრესად ფართო მოხმარების საქონლის წარმოება, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს შემცირება ეხება უკვე მძიმე მრეწველობასაც, კერძოდ ქვანახშირის, მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ მრეწველობას.

ყოველკვირეული ორგანო „პერსპექტივი" აღნიშნავს, რომ მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ მრეწველობაში წარმოების დონის დაქვეითების გამო მკვეთრად დაეცა ქვანახშირის მოხმარება. ამა წლის თებერვალში საფრანგეთის შახტებში დაგროვდა 2.200 ათასი ტონა გაუსაღებელი ქვანახშირი. პრესა იუწყება, რომ ფოლადის გამოდნობა წინანდელ დონეზე დარჩა (11 მილიონი ტონა წელიწადში), მაგრამ როგორც იგივე ყოველკვირეული ორგანო განმარტავს, ამის მიზეზია არა ფოლადის საშინაო მოხმარება, არამედ ფოლადის გატანა შეერთებულ შტატებში.

სტატისტიკურ ბიულეტენში „სერვის ეკონომიკ ე ფინანსიე" აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მრეწველობის მიერ ლითონის დაკვეთა 65 პროცენტით შემცირდა 1951 წელთან შედარებით. ბიულეტენი ამას იმით ხსნის, რომ საწარმოთა მფლობელები იოლად მიდიან ლითონის წინანდელი მარაგით, თუმცა ნამდვილად ეს, აშკარაა, წარმოების შემცირებას მოწმობს.

ფრიად საგულისხმოა, რომ ყბადაღებული „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის ბაზრის" შექმნას, ბაზრისა, რომელზეც ბურჟუაზიულ პრესაში ბევრი რამ ითქვა, როგორც ისეთ საშუალებაზე, რომელსაც შეუძლია იხსნას საფრანგეთი მუდმივი ეკონომიკური სიძნელეებისაგან, არა მარტო რაიმე შეღავათი არ მოუტანია საფრანგეთის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობისათვის, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერა მრეწველობის ამ დარგებში წინათ არსებული სიძნელეები.

ყოველკვირეული „პერსპექტივი" აღნიშნავს აგრეთვე, რომ წარმოება დაეცა მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის საავტომობილო, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის, რკინიგზის მოწყობილობისა და ელექტრომოწყობილობის მრეწველობა.

მრეწველობაში ასეთი მოდუნება, რომელსაც ზოგიერთი გაზეთი აშკარად უწოდებს ეკონომიკურ კრიზისს, იწვევს ან მრავალი საწარმოს სრულ დახურვას, ან სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებას. მაგალითად, როგორც ბიულეტენი „სერვის ეკონომიკ ე ფინანსიე" ამტკიცებს, საფრანგეთის მეტმა წილმა ქარხნებმა ამ უკანასკნელ თვეებში სამუშაო კვირა შეამცირა ჯერ 48 საათიდან 40 საათამდე, შემდეგ კი 32 საათამდე.

წარმოების შეკვეცა იწვევს სრული ან ნაწილობრივი უმუშევრობის ზრდას. როგორც გაზეთი „ტრიბუნ დე ნასიონი" იუწყება, გასული წლის იანვრიდან დღემდე უმუშევართა რიცხვი საფრანგეთში ერთიორად გადიდდა და 600 ათასს მიაღწია. ნაწილობრივ უმუშევართა, ესე იგი არასრულ სამუშაო კვირას მომუშავეთა რიცხვი, რომელნიც მაშასადამე, შემცირებულ ხელფასს იღებენ, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მონაცემებით, 2.500.000 აღწევს. ეს გარემოება დამღუპველ გავლენას ახდენს მშრომელთა მყიდველობით უნარზე და საფრანგეთის საშინაო ბაზრის ტევადობაზე.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა წინანდებურადვე დეფიციტიანია. ამის თაობაზე ყოველკვირეული „პერსპექტივი" წერს: „მდგომარეობა საგარეო ვაჭრობის დარგში აშკარად ცუდი რჩება. იანვარში ჩვენ დავფარეთ მხოლოდ 44 პროცენტი ჩვენი იმპორტისა დოლარის ზონიდან, ხოლო სტერლინგის ზონიდან იმპორტის მარტო 35 პროცენტი. გარდა ამისა, ეს შედეგები მიღწეულია ჩვენი იმპორტის შეზღუდვის გზით". მთლიანად საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, პრესის მონაცემებით, მიმდინარე წლის თებერვალში შეადგენს 23.364 მილიონ ფრანკს.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საფრანგეთის ხაზინისთვისაც. ამ უკანასკნელ წლებში საფრანგეთის ბიუჯეტების დამახასიათებელი თავისებურებაა უდიდესი განსხვავება გასავლისა და შემოსავლის ნაწილს შორის, რაც ინფლაციის გზაზე აყენებს მთავრობას. შარშანდელი წლის ბიუჯეტში დეფიციტმა შეადგინა 775 მილიარდი ფრანკი, წელს პრესა 800 მილიარდ ფრანკამდე ვარაუდობს ბიუჯეტის დეფიციტს. მთავრობას უკვე არა ერთხელ უთხოვნია საფრანგეთის ბანკისათვის, რომ მიეცა მისთვის ეგრეთწოდებული „დროებითი ავანსები", რომლებიც როგორც წესი, დათქმულ ვადებში არ იფარება. ბიულეტენი „სერვის ეკონომიკ ე ფინანსიე" იუწყება, რომ ომის შემდეგ მთავრობამ რვაჯერ სთხოვა ავანსი ხაზინას და ამით გააძლიერა ინფლაცია. 1944 წელს მთავრობამ მიიღო 100 მილიარდი ფრანკი ავანსი, 1947 წელს — სამი ავანსი 525 მილიარდი ფრანკის რაოდენობით, 1949 წელს — 175 მილიარდი ფრანკი, 1952 წელს — 200 მილიარდი ფრანკი, მიმდინარე წლის იანვარში — 225 მილიარდი ფრანკი და მარტში (უკანასკნელი ავანსი, რომელიც მთავრობას მიეცა მეიერის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ), — 80 მილიარდი ფრანკი.

ახასიათებს რა საფრანგეთის საერთო ეკონომიკურ სიძნელეებს, ფინანსურ-ეკონომიკური წრეების ორგანო გაზეთი „ენფორმასიონი" „წრის კვადრატურას" უწოდებს შექმნილ მდგომარეობას. „აჟანს ეკონომიკ ე ფინანსიერიც" სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს საფრანგეთის „ფინანსურ არევდარევასთან" და საერთო ეკონომიკურ სიძნელეებთან დაკავშირებით.

დასავლეთ გერმანიის ფაშიზაციის გაძლიერება

ბერლინი, 8 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში ადენაუერის მთავრობის წაყრუების გამო სულ უფრო აქტიური ხდებიან ფაშისტური ელემენტები. ღორძინდება ძველი და იქმნება ახალი ფაშისტური, ტერორისტული ორგანიზაციები.

დასავლეთ გერმანიაში აღორძინდა ფაშისტური ორგანიზაცია „ფოლადის მუზარადი", რომელსაც ბონის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლერმა ამას წინათ ოფიციალურად დართო ნება ატაროს „ფოლადის მუზარადის" წინანდელი ნიშანი და იქონიოს შავ-თეთრ-წითელი ალამი. ამ ორგანიზაციის ჯგუფები ამჟამად აქტიურად მოქმედებენ დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ნაწილში.

ადნ-ის სააგენტომ ამას წინათ გამოაქვეყნა ცნობა, რომ შეიქმნა მეორე შენიღბული ფაშისტური ორგანიზაცია „ღვთის შეცნობის ლუდენდორფული მოძრაობის" სახელწოდებით. ეს მოძრაობა თავის დროზე მოაწყო გენერალმა ლუდენდორფმა. ომის შემდეგ ამ ფაშისტურმა ორგანიზაციამ კვლავ დაიწყო მოქმედება და ქადაგებდა „გერმანელი ერის ღვთიური მოწოდების" რასისტულ იდეას. 1947 წელს ეს ორგანიზაცია დაშალეს, მაგრამ ახლა კვლავ გამოჩნდა. ამ ორგანიზაციამ განაახლა დასავლეთ გერმანიაში ჟურნალ „დერ კველის" გამოცემა, რომელიც ფაშიზმის პერიოდში გამოდიოდა. ფაშისტურ პროპაგანდას ეს ორგანიზაცია ეწევა აგრეთვე მის განკარგულებაში არსებული რადიოსადგურის საშუალებით. იგი ავრცელებს ასიათასობით ფურცელს.

ტაილანდის მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუარესება

ბანგკოკი, 9 აპრილი. (საკდესი). ტაილანდური გაზეთების ცნობების თანახმად, ტაილანდში დღითიდღე იზრდება სასურსათო და სხვა საქონლის ფასები, უარესდება ხალხის ცხოვრების პირობები. როგორც პრესა აღნიშნავდა, 1952 წლის დამლევისათვის ცხოვრება გაძვირდა 15-ჯერ და მეტჯერ 1938 წელთან შედარებით და მარტო უკანასკნელ ორნახევარ წელიწადში ცხოვრების ღირებულება 25 პროცენტით და მეტით გადიდდა.

1953 წლის დასაწყისი ფასების ახალი გადიდებით აღინიშნა. უკანასკნელ კვირებში, წერდა მარტში გაზეთი „სინოიანქიბაო", ბანგკოკში მნიშვნელოვნად გადიდდა ბრინჯისა და ხორცის, მარილის, ასანთისა და სხვა საქონლის ფასები.

ამავე დროს სწრაფად იზრდება გადასახადები. იმ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისა და სხვა გამოსაღების თანხა, რომლებიც ჩაწერილია ტაილანდის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ერთიორად და მეტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით.

მოკლედ ყოველდღიურ ამბებზე

რესპუბლიკური ქრონიკა

საიუველირო ფაბრიკაში

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობასთან ერთად, ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება თბილისის საიუველირო ფაბრიკის ნაწარმზე, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი. აქ ათასობით ამზადებენ ოქროს და ვერცხლის ძვირფას მხატვრულ სამკაულებსა და ნივთებს. ფაბრიკა მოსკოვიდან იღებს რესტავრაციისათვის ოქროსა და ვერცხლის სამკაულს ძვირფასი ქვებით.

ფაბრიკის კოლექტივი სისტემატურად ითვისებს ახალი სახის სამკაულის გამოშვებას, ზრდის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას.

გამოცდილი იუველირები დღითიდღე აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. იუველირმა ი. შპაგინმა შეიმუშავა ახალი სახის საათის სამაჯურის კონსტრუქცია და ტექნოლოგია.

საქართველოში დამზადებული საიუველირო ნაწარმი სარეალიზაციოდ იგზავნება როგორც საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებში, ისე მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში და სხვ.

თბილისის იუველირებს შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის იუველირებთან. მაგალითად, ბაქოს საიუველირო ფაბრიკა საათის სამაჯურებს თბილისის საიუველირო ფაბრიკის გამოცდილების მიხედვით ამზადებს.

ფაბრიკის კოლექტივი მონდომებით იბრძვის ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის, მათი პროფესიული სრულყოფისათვის. ძველმა იუველირებმა ლ. ხუციშვილმა, რ. აკოფოვმა, დ. ფირცხალავამ, ა. მათევოსოვმა და სხვებმა 7 ახალგაზრდას შეასწავლეს იუველირის რთული პროფესია. ახლა ახალგაზრდა იუველირები რ. ბერძენიშვილი, რ. გზირიშვილი, ვ. ცოვიანოვი, ხ. ჯამაგიძე და სხვები წარმატებით მუშაობენ, როგორც ოსტატები.

სუხუმის კონსერვი

სუხუმის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში იგზავნება. მარტო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ქარხანამ გაგზავნა 40-ზე მეტი ვაგონი პროდუქცია მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, არხანგელსკში, ნოვოსიბირსკში და სხვ.

მარტში ქარხანამ გაგზავნა კიდევ 12 ვაგონი. დიად მშენებლობებზე — კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებისათვის გაიგზავნა კონსერვების დიდი პარტია — ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, ლეღვის კომპოტი, ჯემი, მურაბა და სხვ.

ამჟამად ქარხანაში მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება მიმდინარე წლის საწარმოო სეზონისათვის. ხორციელდება საამქროთა დამატებითი მექანიზაცია, რაც შეამსუბუქებს შრომატევად პროცესებს.

გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია".

215 ათასი წიწილა

დიდი ამოცანა აქვს დაკისრებული თბილისის წიწილების „ფაბრიკას" — საინკუბატორო სადგურს. მას ევალება წელს გამოიყვანოს და თბილისის, გარდაბნისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებს მიაწოდოს 165.000 წიწილა. სადგურმა იკისრა გეგმა 130 პროცენტით შესრულოს და გამოიყვანოს 215.000 წიწილა.

წელს სეზონისათვის მზადება სადგურმა შარშანდელზე თითქმის 40 დღით ადრე დაიწყო და უკვე მისცა კოლმეურნეობებს რამდენიმე ათეული ათასი წიწილა. აქ დაიდგა ახალი ინკუბატორი „რეკორდი", რომელიც ერთდროულად 39.000 ცალ კვერცხს იტევს. სადგურმა (დირექტორი ქ. კოზირიძე) კოლმეურნეობებისათვის დაამზადა წიწილების გადასაყვანი 3.000 ცალი სპეციალური ყუთი, 1.100 ცალი ავტომატური სარწყურებელი. კოლმეურნეებს ეწევათ ინსტრუქტაჟი და უფასოდ ეძლევათ საჭირო ლიტერატურა.

საინკუბატორო სადგურში კარგად მუშაობენ საამქროს უფროსი ა. სვანიძე, ზოოტექნიკოსი ნ. სანადირაძე და სხვ.



ქ. სტალინირი. საბჭოების სახლი.
ფოტო გ. უზოქენკოსი.

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისათვის

სტალინირი. (საქ. კორ.). საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივნის რ. ასაევის თავმჯდომარეობით აქ შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა უხელმძღვანელოს დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისათვის მზადებას.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ამ თარიღთან დაკავშირებით ოსურ ენაზე გამოსცემს დიდი რუსი მწერლის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეულს.

სტალინირში და ოლქის რაიონებში, საკოლმეურნეო სოფლებში მოეწყობა ლექციები, მოხსენებები, გამოფენები ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ს. კნუშევიცკის კონცერტები

საბჭოთა მუსიკალურმა სკოლამ აღზარდა ჩელოს შესანიშნავი დამკვრელი სოლისტები. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია რსფსრ დამსახურებულ არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს, პროფესორ სვიატოსლავ კნუშევიცკის, რომელიც ამჟამად გამოდის თბილისში სასოლო და სიმფონიურ კონცერტებში.

ს. კნუშევიცკის დაკვრა გამოირჩევა ბრწყინვალე ტექნიკით. მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ავტორის სტილის გრძნობა, მკაფიო და გასაგები ფორმით გადმოცემა.

ნიჭიერი დამკვრელი დიდი მხატვრული გემოვნებით ასრულებს გლინკის პოეტურ „მელოდიას", ფორეს „ელეგიას". დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მის მიერ ემოციური აღმავლობით შესრულებული რაკოვის „პოემა". საუკეთესო რიტმით გამოირჩევიან სკრიაბინის „მაზურკა", რაველის „ხაბანერა", დებიუსის „არაბესკა" და არუთინიანის „ექსპრომტი".

წიგნის თარო

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ო. ფირალიშვილის წიგნი „მოსე თოიძე". ეს მონოგრაფია მიძღვნილია საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, საკავშირო სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის მოსე თოიძის დაბადების 80 წლისთავისა და საზოგადო მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი. წიგნის რედაქტორია შ. ამირანაშვილი, მხატვარი გ. გორდელაძე. წიგნს დართული აქვს ილუსტრაციები. ტირაჟი 5.000, გვ. 50, ფასი 6 მან.

ი. ნონეშვილი. ამბავი ერთი ქალიშვილისა. პოემა. საბლიტგამი. 1952 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 92, ფასი 2 მან. 60 კაპ.

ტურისტული სეზონის წინ

სულ უფრო ფართო ხასიათს იღებენ ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ლაშქრობანი, რომელთა დროსაც მშრომელებსა და მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ჩვენი ქვეყნის ახალ მშენებლობებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ჩვენი სამშობლოს ისტორიულ წარსულს, ბუნებრივ სიმდიდრეებს.

საქართველოს ტურისტულმა საექსკურსიო სამმართველომ გააჩაღა მზადება ახალი ტურისტული სეზონისათვის. სამმართველოს აქვს 18 ტურისტული და ორი საექსკურსიო ბაზა, რომლებსაც ერთდროულად შეუძლიათ მომსახურება გაუწიონ 2.400 კაცს. ეს ბაზები განლაგებულია რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში — გაგრაში, სოხუმში, გორში, ქუთაისში, ყაზბეგში, ფასანაურში, შოვში, თებერდაში, ბაკურიანში, მესტიაში და სხვ. გასულ წელს ამ ბაზებმა მომსახურება გაუწიეს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ვლადივოსტოკიდან, კიევიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ 260.000 ტურისტს და ექსკურსანტს.

წელს დიდი მუშაობა წარმოებს ბაზების გასაფართოებლად და მოსაწყობად. გორში იწყება ახალი ორსართულიანი ტურისტული ბაზის მშენებლობა. დამსვენებლების კულტურული მომსახურების მიზნით აქ მოეწყობა მეთოდური კაბინეტები, სამკითხველო, სასადილო. ახალი 200-ადგილიანი ბაზის მშენებლობა დაწყებულია გაგრაში. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ამ ბაზის ერთი კორპუსი. ყველა ბაზაში მიმდინარეობს შენობების, ინვენტარის, ავტოტრანსპორტის კაპიტალური რემონტი.

შემუშავებულია 13 ტურისტული მარშრუტი. ახალ მარშრუტებში ყველაზე საინტერესოა — ალაგირი-ცეი-ზარამაგი-ზაქა-როკი-ჯავა-გორი-სუხუმი.

ახალი ტურისტული სეზონი ყველაზე ადრე — აპრილის შუა რიცხვებში დაიწყება სუხუმში. სეზონი გაგრძელდება დეკემბრის ბოლომდე.

ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში

ჩვენი ქვეყნის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი პასუხსაგები შეხვედრებისათვის. გუნდები დაკომპლექტებულია ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობით, მიმდინარეობს სისტემატური წვრთნა, ეწყობა ამხანაგური შეჯიბრებანი.

ამ დღეებში თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. კვირას, 12 აპრილს, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დინამოელები თავიანთ საფეხბურთო მოედანზე მიიღებენ ლენინგრადის „ზენიტს". 13 აპრილს ამავე სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდები.

ოსტატ ფეხბურთელთა მორიგი ამხანაგური შეჯიბრება გაიმართება 18 და 19 აპრილს. 18 აპრილს ითამაშებენ ლენინგრადის „ზენიტისა" და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდები, 19 აპრილს — „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი).

გუშინ ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელები თბილისში ჩამოვიდნენ. მათ რიგებში არიან: ივანოვი, ფალინი, სმირნოვი, სამარინი, სევეროვი, მარიუტინი, ვინოგრადოვი, მაკაროვი, სოროკინი და სხვ. „ზენიტის" ფეხბურთელებმა შავი ზღვის სანაპიროზე წვრთნის დღეებში გამართეს რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. მათ გაგრაში მოსკოვის დინამოელებთან შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 4:3, ხოლო თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდთან შეხვედრა გუდაუთში ფრედ — 1:1 დაამთავრეს.

ლექციები

1953 წლის 10 აპრილს საღამოს 6 საათზე კიროვის რაიკომის პარტბიბლიოთეკაში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორი ამხ. შ. ვაშაყმაძე ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

იქვე 15 აპრილს საღამოს 6 საათზე დოცენტი გ. ბახტაძე რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ი. ბ. სტალინი სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის შესახებ სოციალიზმის დროს".

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

10 აპრილს	ზ. ფალიაშვილი — აბესალომ და ეთერი
11 აპრილს	ჟ. ბიზე — კარმენი (ვ. ა. დავიდოვას მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



თბილისის სახელმწიფო ცირკი

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ცირკის მსახიობის

კონსტანტინე ბერმანის

გამოსათხოვარი გასტროლები

კლოუნების ჯგუფის და საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატების მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კვირას, 12 აპრილს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს. II—3 ს.

ბილეთები იყიდება სალაროებში.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1953 წლის 25 აპრილს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე გიორგი ბესარიონის-ძე როგავა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სახელის ფუძის აგებულებისა და გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში".

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ვ. თოფურია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი გ. წერეთელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვ. ფანჩვიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

თანახმად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური კავშირის 1953 წლის 20 მარტის № 11 დადგენილებისა მოხდა ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებული სახელოსნოების ლიკვიდაცია.

ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა, რომლებსაც რაიმე პრეტენზია აქვთ აღნიშნული სახელოსნოებისადმი, უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადი ორი კვირის ვადაში, ე. ი. 1953 წლის 25 აპრილამდე, შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, მახარაძის ქ. № 8.

1953 წლის 25 აპრილის შემდეგ ხელოვნების მუშაკთა სახლი სახელოსნოებთან დაკავშირებით არავითარ პრეტენზიას არ მიიღებს.

მოქალაქე შოთა მიხეილის-ძე ძამუკაშვილმა, მცხოვრებმა პეტრიწის ქ. № 8, აღძრა საქმე პატარძეულის ქ. № 8 მცხოვრებ მოქალაქე სირუშ სედრაკის ასულ მოხსიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის თანამშრომლები და ასპირანტები იუწყებიან ავთანდილ ივანეს-ძე ანთიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 12-IV, 3 ს. ზასულიჩის ქ. № 32.

შვილები ნორა, დავით, რძალი ნადია, შვილიშვილები დალი, ლალი იუწყებიან ტასო სპირიდონის ასულ გურულის გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IV, 5 ს. ქ. ზესტაფონში, გამოსვენება ბინიდან, ოქტომბრის ქ. № 60.

შვილი ნიკოლოზ, რძალი ელენე გელაშვილები, შვილიშვილი ნინო მიქაშვილი, სიძე დარისპან ჩიხლაძე, დისწული ანა იმერლიშვილი იუწყებიან ქარო ივანეს ასულ გელაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-IV, 8 ს. გამოსვენება 12-IV, 4 ს. ხევსურეთის ქ. № 3.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-06-88, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00985

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".